საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 16 იანვარი, 2015 წელი.

№8 (7653)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ჩვენ ახლა გვირაბში ვართ, მაგრამ სინათლეს უკვე ვხედავთ

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინტერვიუ LEADERS Magazine-სთან:

③

სომხები საქართველოზე გადაერთვნენ

⑧

საპროტესტო მარში პარიზში და იატაკქვეშა თამაში ახლო აღმოსავლეთში



⑥



ის, რაც მან შექმნა, ყოველთვის წინ უბიძგებს მეცნიერებას!..

⑤

აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის დაბადების 130-ე წლისთავი

საქართველოს საგარეო უწყებამ უკრაინელ ხალხს მიუსამძიმრა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ვოლნოვახში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, შეშფოთებას გამოთქვამს.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებას გამოთქვამს 2015 წლის 13 იანვარს, უკრაინის დონეცკის ოლქში, ქ.ვოლნოვახში, ჭურვის აფეთქების შედეგად უდანაშაულო ადამიანების დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებით და სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს. აღნიშნული ტრაგედია კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმებების უპირობო შესრულებას უდანაშაულო მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში არსებული კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების ამოსავალ წერტილს უნდა წარმოადგენდეს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში“, – აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

დეკემბერში, ეროვნული ბანკის რეზერვები 145 მლნ დოლარით გაიზარდა

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

„ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან, როგორც გასული წლის დეკემბერში, ასევე იანვარში მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა შემცირდა, დეკემბერში 145 მილიონი დოლარით გაიზარდა ეროვნული ბანკის რეზერვი იმის გამო, რომ ბიუჯეტმა მიიღო ეს თანხა დოლარებში“, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

იგი ასევე გამოეხმაურა ექსპორტის შემცირებას 2 პროცენტით. ხადურმა ეს ახსნა იმ ფაქტით, რომ შემცირდა მათ შორის ავტომობილების ექსპორტი.

„თავისთავად ცხადია, ექსპორტი დამოკიდებულია იმ ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სადაც ეს ექსპორტი ხორციელდება“, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

„პარიზში დატრიალებულმა ტრაგედიამ დაგვანახვა, რომ ვითარების გადააზრების წინაშე ვდგავართ“

④

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ მთავრობა

სოფლის სახლების – საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობას გეგმავს

როგორც ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განუცხადა, სოფლის სახლებში იქნება იგივე სერვისები და უფრო მეტი, ვიდრე იუსტიციის სახლებში.

— ჩვენ გვაქვს კარგი ამბავი სოფლის მოსახლეობისთვის. გადავწყვიტეთ, 2015 წელს 13 სოფელში აშენდეს ე.წ. სოფლის სახლები — საზოგადოებრივი ცენტრები, სადაც ჩვენი სოფლის მოსახლეობა 200-მდე საჯარო და კერძო სერვისს მიიღებს. მივიღეთ თანხმობა მთავრობისგან, რომ იანვარშივე დაიწყოს მშენებლობა გურიაში, კერძოდ, ქვემო ნატანებში. საოკუპაციო ზოლთან სამეგრელოში, სოფელ ორსანტიაში, დაბა კაზრეთსა და ყვარლის რაიონებში. რა თქმა უნდა, ჩვენ სოფლები შევარჩიეთ იანვარ-თებერვლისთვის, სადაც კლიმატი ამის საშუალებას მოგვცემს და შემდეგ დანარჩენის მშენებლობაც დაიწყება. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდეს. ეს საშუალებას მოგვცემს, ხელი შევუწყოთ ახალგაზრდების სოფლად დამაგრებას და იქვე საქმიანობის წარმოებას, რადგან სოფლის სახლებში ჩვენ ვაკეთებთ მათთვის ბიბლიოთეკას, უფასო ინტერნეტს და სხვა, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე თქმით, წელს იუსტიციის სახლების მშენებლობაც გაგრძელდება და ძალიან სასიხარულოა, რომ ეს მოხდება მთიან რაიონებში, კერძოდ ყაზბეგში, თიანეთსა და ბორჯომში.

დაიდო ხელშეკრულება, რათა ამაღლდეს ქართული პროდუქციის ხარისხი

სოფლის მეურნეობის პროდუქციის — ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტსა“ და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს შორის ერთობლივ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

როგორც მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიაზე მხარეებმა განაცხადეს, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის ხარისხიანობას.

ამჟამად საქართველოში წარმოებული პროდუქციიდან 30-ზე მეტი რეგისტრირებულია როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა, რომლის დიდი ნაწილი ქართულ ექსპორტს წარმოადგენს.

„საქპატენტის“ ინფორმაციით, 2014 წელს ევროკავშირის პროგრამის ENPARD ფარგლებში მომზადდა სპეციფიკაციები ოთხი ახალი გეოგრაფიული აღნიშვნის (ახალქალაქის კარტოფილი, ქუთაისის მწვანილი, ტყიბულის ჩაი, მაჭახელას თაფლი) რეგისტრაციისთვის და ჩამოყალიბდა ამ სახელების გამოყენების მენეჯმენტის ოთხი ასოციაცია.

შეისწავლიან „როსნეფტის“ მიერ ფოთის პორტის აქციების შესყიდვას

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, პირველი ვიცე-პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, „როსნეფტის“ მიერ ფოთის პორტის აქციების შესყიდვის იურიდიულ მხარეს სამი უწყება სწავლობს.

ამის შესახებ გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, როდესაც უპასუხა კითხვას, არღვევს თუ არა „როსნეფტი“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონს.

„ეს ტრანზაქცია ჩვენგან დამოუკიდებლად განხორციელდა. მე გავეცი დავალება და ეკონომიკის, იუსტიციის და საგარეო საქმეთა სამინისტროები ერთობლივად სწავლობენ ამ საკითხის იურიდიულ მხარეს. როდესაც შესწავლა დამთავრდება, შედეგებს მოგახსენებთ“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

არსებული ინფორმაციით, ფოთის პორტის ნავთობტერმინალისა და „გალფის“ ავტოგასამართი სადგურების ნაწილი „როსნეფტის“ მფლობელობაში გადავიდა. რუსულმა ენერგოკომპანია „როსნეფტმა“ ქართველი ბიზნესმენის დავით იაკობაშვილის კუთვნილი „პეტროკას ენერჯის„“ აქციების 49% შეიძენა.

„აწარმოე საქართველოში“ პარამეტრებში ცვლილებები განხორციელდება

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ვიცე პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, დღეს არსებული ვერსიით, ბანკის მიერ დამტკიცებულ პროექტებში საბანკო ინსტიტუტების მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის 30 პროცენტის გარანტიას დებდა სახელმწიფო.

„მაგალითად თუ ბანკმა მოსთხოვა კომპანიას უზრუნველყოფა, მისი 30 პროცენტის თანაგარანტირებას ახდენდა სახელმწიფო. ახალი პარამეტრების მიხედვით, უკვე მოთხოვნილი უზრუნველყოფის 50 პროცენტის უზრუნველყოფას მოახდენს სახელმწიფო. ეს მთლიანი პარამეტრების და ვალდებულების გაზრდას არ გამოიწვევს, ვინაიდან ზეგანაკვეთები იგივე დარჩება, თუმცა, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ეს იქნება გაცილებით უფრო შეღავათიანი პირობა, რომ ისინი ჩაერთონ პროგრამაში — „აწარმოე საქართველოში“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

რუსთავში ფეხბურთის თანამედროვე აკადემია აშენდება

ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, მთავრობის სხდომაზე რუსთავში ახალი საფეხბურთო აკადემიის პროექტი დაამტკიცეს.

„სახელმწიფო მფლობელობაში არსებული მიწა გადაეცემა ფეხბურთის ფედერაციას და რუსთავში აშენდება ფეხბურთის თანამედროვე აკადემია“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

◎ რეპლიკა

არქიტექტორებს დაეკითხეთ, არქიტექტორებს!

ახალი ტალღა აგორდა „ბათუმი ტაუერის“ გამო — გამოდგება თუ არა ის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სასწავლო დაწესებულებად. ავტორიტარიზმის პერიოდში გაუქმდა არქიტექტურისა და მშენებლობის წარმმართველი ყველა ინსტიტუტი, ალბათ იმიტომ, რომ ხელისუფალს მოეპოვებინა სრული კონტროლი არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესზე. სიცარიელე დიდხანს ვერ ძლებს და ბუნებრივად წარმოიშვა ახალი სპეციალობები: **პრეზიდენტი-არქიტექტორი** — იგივე ქვეყნის მთავარი არქიტექტორი, **გუბერნატორ-არქიტექტორი, მინისტრი-არქიტექტორი, მერი-გამგებელი არქიტექტორი,..** ამას დაემატა ინვესტორ-არქიტექტორი. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღესაც გრძელდება. „ბათუმი ტაუერზე„ თავიანთ „კომპეტენტურ“ აზრს გამოთქვამს ყველა, გარდა პროფესიონალი არქიტექტორებისა. მათ არაფერს ეკითხებიან. საკითხი სავსებით ნათელია და არ არის საჭირო ამდენი „პინგ-პონგი“. დაეკითხეთ არქიტექტორებს და დახურეთ ეს საკითხი. ჩემი პირადი აზრი დადასტურებული მაქვს სტატიაში „ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია“, ჟურნალი „სტილი“ №51; აგრეთვე ამავე დასახელების წიგნში.

პატივისცემით,
ვახტანგ დავითაია

ელისაშვილი ნარმანიას წინააღმდეგ

თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირის მაცხოვრებლები 52-ე საჯარო სკოლასთან მდებარე სკვერისთვის რეკრიაციული ზონის სტატუსის დაბრუნებას მოითხოვენ.

მათ ყაზბეგის გამზირზე გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს, რომელსაც თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილიც ესწრებოდა.

„ძირს სკვერიგლეჯიები“, „ვინ წაგართმევს სკვერს“, „მილიონის ნაცვლად ეკოკატასტროფა“ — ასეთი ბანერებით ადგილობრივი მცხოვრებლები მოითხოვენ, რომ სკვერს დაუბრუნდეს რეკრიაციული ზონის სტატუსი და ამ ადგილზე კორპუსი არ აშენდეს.

როგორც ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, ამ სკვერთან დაკავშირებით ადგილი აქვს კორუფციულ შეთქმულებას, რომელშიც ჩართულები არიან თბილისის საკრებულოსა და უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები. ელისაშვილის თქმით, თბილისის საკრებულოს ურბანულმა კომისიამ მისცა დასტური, რომ სკვერს რეკრიაციული ზონის სტატუსი დაბრუნებოდა, თუმცა, შემდეგ აღნიშნული თემის განხილვა თბილისის საკრებულომ ჩააგდო.

„ამ დროს ჩაირთო კორუფციული რაღაც სქემა, რადგან აქ უნდათ ამ სკვერის გაჩეხვა და კორპუსის აშენება. როგორც ვიცი, პროექტი უკვე მზადაა. გამოვიდეს ნარმანია, ჩირგვებში რომ იმალება, მოვიდეს აქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე და ჩემთან ერთად მოითხოვოს ამ სკვერის სტატუსის დაბრუნება“, — განაცხადა ელისაშვილმა.

◎ ფასები

როდის „ავუწყობთ ფეხს“ ციფილიზებულ ნავთობსამყაროს?

ნავთობის გაიაფება სულ მცირე 6 თვე გაგრძელდება

მსოფლიოში ნავთობი ისევ იაფდება. ანალიტიკოსები უახლოეს მომავალში 1 ბარელის 35 დოლარამდე გაიაფებას პროგნოზირებენ. საქართველოში კი საერთაშორისო ტენდენციას ფეხს დიდი წელისმოწყვეტით უბამენ. მსოფლიო ბირჟებზე ნავთობის ფასის განახევრების ფონზე, საქართველოში საწვავი მხოლოდ 17-18%-ით გაიაფდა.

გუშინდელ ვაჭრობაზე „ბრენტის“ მარკის ნავთობის თებერვლის ფიუჩერსების ღირებულება 2,59%-ით - 46,21 დოლარამდე დაეცა. „ლაითის“ ტიპის ფიუჩერსების ღირებულება კი 45,58 დოლარია.

ნავთობის გაიაფების მორიგი ტალღა მოჰყვა „გოლდმან საქსის“ მიერ ნავთობის საპროგნოზო ფასის 2-ჯერ შემცირებას. ბანკმა 2015 წლის პირველი კვარტალისთვის „ბრენტის“ საპროგნოზო ფასი 80 დოლარიდან 42 დოლარამდე შეამცირა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2015 წლის პირველ ნახევარში ნავთობის ფასი 40 დოლარის მიდამოებში უნდა იყოს, რათა ფიქალის ნავთობში ინვესტიციების მოცულობა შემცირდეს.

სწორედ „ფიქალის რევოლუციას“ მიაწერენ იმ ფაქტს, რომ ბოლო 6 თვეში ნავთობზე ფასი 50%-ზე მეტით შემცირდა.

უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ შავი ოქრო ძველ ნიშნულს, ალბათ, აღარასდროს დაუბრუნდება, ყოველ შემთხვევაში, უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში. ამის პირობას საუდის არაბეთის პრინციც დებს და ირწმუნება, რომ ნავთობი 100 დოლარამდე აღარ გაძვირდება.

როგორც საუდის არაბეთის პრინცმა ალ-ვალიდ ბენ თალილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ერთი ბარელი ნავთობის მსოფლიო ფასი 100-დოლარიან ნიშნულს ვეღარ მიაღწევს. თუკი მოთხოვნა იქნება ფასი გაიზრდება, თუმცა, სამნიშნა რიცხვამდე აღარ ავა.

საქართველო, როგორც ყოველთვის, საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს არაადეკვატურად ეხმიანება. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ავტოგასამართ სადგურებზე საწვავი უმნიშვნელოდ გაიაფდა. თუკი მსოფლიოში ნავთობის ღირებულება ზაფხულიდან მოყოლებული განახევრდა, საქართველოში იმავე პერიოდში საწვავმა მხოლოდ 17-20%-ით დაიკლო. რომ არა პრემიერ-მინისტრის დაინტერესება, ქართველი მენავთობეები არც ამას დაუშვებდნენ. ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლის შემდეგ 1 ლიტრი ბენზინი და დიზელი 10-12 თეთრით გაიაფდა.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში ამბობენ, რომ საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე პროცესების პარალელურად, საწვავი საქართველოს საცალო ქსელში ისევ გაიაფდება.

„რეგიონში ყველაზე დაბალი ფასები აქვს რუსეთს. ეს არც არის გასაკვირი იმიტომ, რომ იგი მსოფლიოში უდიდესი ნავთობმომპოვებელი და მწარმოებელი ქვეყანა. საქართველოში „სუპერისა“ და „პრემიუმის“ ტიპის საწვავზე შედარებით დაბალი ფასებია, ვიდრე უკრაინაში, მოლდოვაში, სომხეთში. ეს ქვეყნებიც დამოკიდებულნი არიან საწვავის იმპორტზე და საერთაშორისო ფასებზე“, — ამბობს ნავთობპროდუქტების კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი და დასძენს, რომ აზერბაიჯანში, რომელიც არ აწარმოებს „სუპერსა“ და „პრემიუმს“, ამ ტიპის საწვავის ღირებულება მაღალია, ვიდრე საქართველოში. ადგილობრივი, „რეგულარის“ მარკის საწვავის ფასი კი 1,70 ლარია.

მენავთობეების ინფორმაციით, რამდენიმე დღეში ბენზინი და დიზელი კიდევ გაიაფდება, ხოლო დაახლოებით 1 თვეში საცალო ქსელში საწვავი 1,6 ლარის ფარგლებში იქნება. მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, საწვავის გაიაფება მომავალშიც გაგრძელდება.

რაც შეეხება კონკურენციის სააგენტოს, იგი სანავთობო ბაზარს ჯერ კიდევ სწავლობს. გამოთხოვილია ინფორმაცია შემოსავლების სამსახურიდან, „საქსტატიდან“, მეზობელი სახელმწიფოებიდან და 100-ზე მეტ ეკონომიკურ აგენტს გაეგზავნა შესაბამისი ცნობა ინფორმაციის გაგზავნის თაობაზე. სააგენტომ პრემიერ-მინისტრს 10-დღიან ვადაში მოთხოვნილი შუალედური ანგარიში უკვე მიაწოდა. ამ ანგარიშიდან, ჯერჯერობით, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ სანავთობო ბაზარზე 100-ზე მეტი სუბიექტია რეგისტრირებული. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, კონკურენციის სააგენტომ ბაზარზე მონოპოლია და კარტელური გარიგებები გამორიცხოს.

რეალურად კი საქართველოს მასშტაბით, ასობით ავტოგასამართ სადგურს 5 მსხვილი ნავთობკომპანია აკონტროლებს. დანარჩენი მცირე კომპანიების ქსელში კი რამდენიმე პატარა ავტოგასამართი სადგურია, რომელიც საფასო პოლიტიკაზე გავლენას ვერ ახდენს. სხვათა შორის, ასეთ ავტოგასამართ სადგურებზე 1 ლიტრი ბენზინი 1,5 ლარი ღირს.

ბეჟა დანელია

ჩვენ ახლა გვირაბში ვართ, მაგრამ სინათლეს უკვე ვხედავთ

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინტერვიუ LEADERS Magazine-სთან:

— რამდენად მტკიცეა თქვენი გადაწყვეტილება, გარდაქმნათ საქართველო დემოკრატიულ დასავლურ სახელმწიფოდ? გთხოვთ, დაასახელოთ ძირითადი ინიციატივები ამ მხრივ.

— მე გავიზარდე საბჭოთა კავშირის პირქუშ ეპოქაში და კარგად მახსოვს ეს ურთულესი პერიოდი.

შემდეგ გავემგზავრე ევროპაში, რათა პარიზში გამეგრძელებინა განათლება პოლიტოლოგიის სფეროში, რადგანაც პოლიტიკა ყოველთვის მაინტერესებდა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ სასიკეთო ცვლილებებში წვლილის შეტანა შემეძლო. დიდი პატივია, როცა შენს ქვეყანას ემსახურები და ხალხისა და სახელმწიფოსთვის სიკეთე მოგაქვს.

პარიზში სწავლის პერიოდში უფრო ახლოს გავეცანი ევროპულ დემოკრატიულ ღირებულებებს.

დღეს ჩვენ გვაქვს უნიკალური შესაძლებლობა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა მართლაც ევროპულ სახელმწიფოდ ვაქციოთ. ბოლო 20 წლის განმავლობაში ქვეყანამ ტრანსფორმაციის რთული პერიოდი გამოიარა. ჩვენ გადავიტანეთ სამოქალაქო ომი და 2008 წლის ომი რუსეთთან. საქართველო დღესაც ებრძვის ბოლო ათი წლის განმავლობაში მომხდარი ადამიანის უფლებების დარღვევების შედეგებს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ გადამწყვეტი ზომები, რათა გაგვერღვია ელიტარული კორუფციის, დაუსჯელობისა და მხოლოდ ერთეულებისათვის სასარგებლო ეკონომიკის მოჯადოებული წრე. ჩვენ დავამკვიდრეთ ნამდვილი დემოკრატია, რომლის პირობებშიც მმართველობა არის უფრო ღია, ანგარიშვალდებული და განუხრელად იცავს კანონის უზენაესობას.

ჩვენ უზრუნველვყავით ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობის ის ფორმა, რომელშიც დაფასებულია შრომა და მეწარმეობა. ჩვენ ასევე ვეხმარებით მოსახლეობის გაჭირვებულ ფენებს.

ჩვენს ხალხს სურს რეალური დემოკრატია და განვითარება. ასე რომ, დადგა ჩვენი ქვეყნის ევროპულ სახელმწიფოდ ტრანსფორმაციის დრო.

— ხალხი მზად არის ასეთი ცვლილებებისთვის? რა კრიტერიუმებით აფასებთ ამ ცვლილებების გავლენას, მათ შედეგებს?

— ხალხი ცვლილებებს ითხოვს. ისინი მზად იყვნენ, დემოკრატიული გზით შეეცვალათ ხელისუფლება. დღეს საქართველო მომწიფებული დემოკრატიის ქვეყანაა და ძალიან განსხვავდება იმისგან, რაც იყო თუნდაც ორი წლის წინათ.

მე არ ვამბობ, რომ უკვე მივაღწიეთ დემოკრატიის სასურველ დონეს. დასახული მიზნების მისაღწევად წინ დაუღალავი და მუდმივი შრომა გველის, მაგრამ ჩვენ სწორი მიმართულებით მივდივართ. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენ ვიცით, რისი მიღწევაც გვსურს.

— რას იტყვით საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმების შესახებ?

— ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენ განვახორციელეთ მნიშვნელოვანი ცვლილებები დემოკრატიული ინსტიტუტების განსამტკიცებლად. ჩვენ გვინდა ნამდვილი დემოკრატიის დამყარება და ეს მხოლოდ სიტყვები არ არის — ამას ჩვენ საქმით ვადასტურებთ.

ჩვენ მივიღეთ საკონსტიტუციო ცვლილებები, რითაც დავამკვიდრეთ ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის კონტროლისა და ბალანსის მექანიზმები. პრეზიდენტი აღარ არის აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში, ხოლო პარლამენტი დღეს მართლაც კანონმდებელია.

დღეს სასამართლო სისტემა აბსოლუტურად დამოუკიდებელია ხელისუფლების ჩარევისაგან. დემოკრატიის დამყარება შეუძლებელია რეალურად დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის გარეშე. ჩვენ ვერ მოვიზიდავთ ინვესტორებს, თუ არ გვექნება მართლაც დამოუკიდებელი სასამართლო.

ჩვენ ვახორციელებთ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმას. გარდა ამისა, მივიღეთ უმნიშვნელოვანესი ანტიდისკრიმინაციული კანონი, გავატარეთ პოლიციის რეფორმა, რადგანაც წინა წლებში პოლიცია უაღრესად პოლიტიზებული იყო.

გავატარეთ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად. ვახორციელებთ მძლავრ ინვესტიციებს სოფლის მეურნეობაში, რომელიც ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი მამოძრავებელი ძალა გახდება.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმატება, რომელსაც დღეისათვის მივაღწიეთ, ეს არის ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერა. ეს ხელშეკრულება მართლაც დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს ქართველ ხალხს.

— არის თუ არა ქვეყანაში მნიშვნელოვანი შესაძლებლობები იმისათვის, რომ უცხოური ინვესტიციები განხორციელდეს? ნათელია თუ არა მსოფლიოსთვის, რას სთავაზობს მას საქართველო?

— საქართველოს აქვს უნიკალური სტრატეგიული მდებარეობა და ჩემი სურვილია, მან დაიბრუნოს ის ისტორიული როლი, რომელსაც ეს დერეფანი ასრულებდა წარსულში. ჩვენ განვიხილავთ ახალი აბრეშუმის გზის შექმნის შესაძლებლობას. ჩინეთის პრეზიდენტმა საჯაროდ გამოთქვა დაინტერესება ამ კონცეფციით. საქართველოს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ევროპისა და აზიის დაკავშირების საქმეში. საქართველოს, როგორც ამ რეგიონებს შორის ვაჭრობის ხელშემწყობის, როლი უაღრესად მნიშვნელოვანია და კიდევ უფრო გაიზრდება მომავალში.

რაც შეეხება ბიზნესშესაძლებლობებს, სოფლის მეურნეობის სექტორი, ჩვენს ქვეყანაში არსებული უდიდესი რესურსის წყალობით, არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და მიმზიდველი დარგი საქართველოში.

ჰიდროელექტროენერგეტიკა არის კიდევ ერთი სექტორი, რომელიც ძალიან პერსპექტიულია. საქართველო იყენებს თავისი ჰიდროენერგორესურსების მხოლოდ 18-20 პროცენტს. ჩვენს ქვეყანაში არის 26 ათასი მდინარე. ასე რომ, არსებობს განახლებადი ენერგიის წარმოების უზარმაზარი პოტენციალი არა მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისათვის, არამედ თურქეთში მისი ექსპორტისთვისაც. ამისთვის ჩვენ გამოვიყენებთ ამჟამად მშენებარე მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებს. ეს კი მოგვცემს ელექტროენერგიის ექსპორტის საშუალებას თურქეთში და შემდეგ, თურქეთის გავლით, ევროპაში.

ტურიზმიც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი სექტორია, რადგანაც საქართველოში გვაქვს როგორც მაღალმთიანი, ისე სუბტროპიკული და კონტინენტური ზონები. ჩვენ გვაქვს უმშვენიერესი მთები, სათხილამურო კურორტები, რომლებიც ძალიან სწრაფად ვითარდება, ასევე დიდია მოთხოვნა 3-5-ვარსკვლავიან სასტუმროებზე.

რაც შეეხება მრეწველობასა და ტრანსპორტს, ჩვენ დავინტერესდით ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობით, რომელიც შეძლებს დიდი გემების მიღებას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს „აბრეშუმის გზის“ აღდგენის საქმეში, რადგანაც მარშრუტები ჩინეთიდან გაივლის საქართველოზე და ამ დერეფანზე. ჩვენ გვჭირდება ღრმაწყლოვანი პორტი, რათა დავტვირთოთ გემები, რომლებიც გავლენ რუმინეთის, ევროპის მიმართულებით. ამ პროცესს სულ რაღაც 17 დღე დასჭირდება და ეს იქნება უმოკლესი მარშრუტი ჩინეთსა და ევროპას შორის.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ სულ ახლახან დავიწყეთ მჭიდრო თანამშრომლობა ჩინეთის ხელისუფლებასთან. ეს პორტი შეამოკლებს მარშრუტს, დაზოგავს ფულსა და დროს, მოუტანს ამ დერეფანს უფრო დიდი ოდენობის ენერგორესურსებს და გაზრდის დაინტერესებას.

მინდა, ასევე შევეხო ჩვენს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობის საკითხს. ჩვენ რადიკალურად შევცვალეთ დამოკიდებულება მეზობლების მიმართ, რუსეთის ჩათვლით. ურთიერთობაში ავირჩიეთ პრაგმატული, რაციონალური და კონსტრუქციული სტრატეგიები, რადგანაც სურვილია დაძაბულობის დეესკალაცია და ახალი კონფლიქტების პრევენცია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს უცხოელი ინვესტორების მოზიდვის კუთხით. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ ვართ სანდო და პროგნოზირებადი ხელისუფლება, რომელსაც ჰყავს თანამიმდევრული, სტაბილურობისა და მშვიდობის ქომაგი ლიდერები. თუ საქართველოში არ იქნება მშვიდობა, ის ვერც მთლიანად კავკასიის რეგიონში დამყარდება, და ეს, თავის მხრივ, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის მსოფლიოს.

სულ ახლახან ვიყავი აზერბაიჯანში, სადაც დავათვალიერე შაჰ-დენიზის გაზსადენის პროექტის მეორე ფაზის პირველი სეგმენტი. ეს პროექტი, რომლის ბიუჯეტიც 45 მილიარდი დოლარია, ევროპასა და თურქეთს უზრუნველყოფს 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზით. ამ პროექტიდან საქართველოც ნახავს სარგებელს. ჩვენ ვართ ამ პროექტში ჩართული ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა, რაც სტაბილური გარემოს შენარჩუნების სერიოზული სტიმულია. საქართველო სანდო სატრანზიტო ქვეყანაა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი იყო ჩვენი ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელშიც ჩართული არიან ევროპული ქვეყნები, კომპანია BP და სხვები.

— როგორ აფასებთ აშშ-საქართველოს ურთიერთობებს?

— აშშ არის საქართველოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორი, იმის მიუხედავად, თუ რომელი პარტია არის ქვეყნის სათავეში. ჩვენ გვაერთიანებს თავისუფლებისა და დემოკრატიის ღირებულებების ერთგულება. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ აშშ-ის ლიდერებთან კონგრესსა და ადმინისტრაციაში, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს დაახლოებას ევროკავშირსა და დასავლეთთან.

მე შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს პრეზიდენტ ობამასა და ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენთან. ეს ურთიერთობა ჩვენ შორის რამდენიმე შეხვედრისა და საუბრის შედეგად ჩამოყალიბდა. მე ვხედავ ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის უზარმაზარ პოტენციალს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და უსაფრთხოების სფეროებში.

— რამდენად ოპტიმისტურად უყურებთ იმ გლობალურ გამოწვევებთან ბრძოლას, რომლებიც თქვენი რეგიონიდან მომდინარეობს?

— ყველაფერი დამოკიდებულია რეგიონის ლიდერებზე. თუ ჩვენ ყველა მხარს დავუჭერთ მშვიდობას და ძალისხმევას არ დავიშურებთ პრობლემების გადაჭრისა და დაძაბულობის შემცირებისათვის, მაშინ წარმატებას მივაღწევთ.

ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია მხარდაჭერისა და ძალისხმევის კონსოლიდაცია. ერთობლივი რეაგირების გარეშე წარმატებას ვერ მივაღწევთ. ასე რომ, ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია.

მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ და ვიცი, რომ საქართველო შეასრულებს მნიშვნელოვან როლს გლობალურ გამოწვევებთან ბრძოლის საქმეში.

— მნიშვნელოვანია თუ არა თქვენთვის, რომ გაიზარდოს ინფორმირებულობა იმ მნიშვნელოვანი როლის შესახებ, რომლის შეასრულებაც შეუძლია საქართველოს?

— რასაკვირველია. მე პირადად ვარ ჩართული ამ საქმეში. ჩემი სურვილია, დავარწმუნო ყველა ევროპელი ლიდერი, რომ საქართველო უნიკალური ადგილია, სადაც დიდი შესაძლებლობები არსებობს.

ახლახან ვიზიტით ვიმყოფებოდი არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში, სადაც განვიხილეთ ჩვენი ბუნებრივი რესურსების საკითხი. ერთ სულ მოსახლეზე წყლის რესურსების კოეფიციენტის მიხედვით, საქართველო მეორე ადგილზეა მსოფლიოში. არავინ იცის, რა მოხდება 10 წელიწადში, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, — მომავალში ნავთობის რესურსები შემცირდება. შესაბამისად, ენერგორესურსების წარმოება უნდა ჩავანაცვლოთ ჰიდროელექტროენერგიით.

— რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს როლი კლიმატური ცვლილების გავლენის შემცირების საქმეში?

— მსოფლიოში საკმარისი ყურადღება არ ეთმობა კლიმატურ ცვლილებებს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგანაც ბევრი კატასტროფის პრევენცია შესაძლებელია.

საქართველოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ პრობლემის გადაჭრაში, რისთვისაც აწარმოებს განახლებად ენერგორესურსებს როგორც ადგილობრივი მოხმარებისათვის, ისე მთელი რეგიონისთვის.

— თქვენ ხართ დემოკრატიული გზით მოსული ყველაზე ახალგაზრდა ლიდერი მსოფლიოში. პოლიტიკით, ალბათ, ადრეულ ასაკში დაინტერესდით?

— მე ყოველთვის ვიყავი დაინტერესებული პოლიტიკით და ყოველთვის მინდოდა, დავმდგარიყავი ჩემი ქვეყნის სამსახურში. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ პრემიერ-მინისტრი გავხდებოდი. მქონდა კერძო სექტორში საინტერესო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა, ბევრ ნიჭიერ ადამიანთან ვთანამშრომლობდი, ამ პოსტზე ჩემი წინამორბედის ჩათვლით.

ჩემთვის ასევე პატივი იყო, როდესაც პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დავინიშნე.

დღევანდელ თანამდებობაზე მე განსაკუთრებული ხედვა მაქვს, რადგანაც ვიცი, რისი მიღება უნდა კერძო სექტორს მთავრობისაგან. მე ვიცი ბიზნესის ენა, ასევე კარგად ვიცი, რა სჭირდებათ სტუდენტებსა და ახალგაზრდებს. როდესაც სორბონაში ვსწავლობდი, რესტორანში მიმტანად და ჭურჭლის მრეცხავად ვმუშაობდი.

ქვეყნის მართვისას უკიდურესად მნიშვნელოვანია იყო გულწრფელი და შენი საქმის ერთგული. უნდა დაივიწყო პირადი ინტერესები. უნდა გახსოვდეს ერთი რამ: ისე უნდა ემსახურო ქვეყანას, როგორც შენს ოჯახს, და მოექცე შენს ხალხს ისე, როგორც შენი ოჯახის წევრებს.

ასევე მნიშვნელოვანია იყო კარგი მსმენელი. მე ბევრი ადამიანისგან ვიღებ რჩევებს, უცხოელი ლიდერების ჩათვლით.

ჩემი წარმატება წარმოუდგენელი იქნებოდა ასეთი კარგი გუნდის გარეშე. მე და ჩემი გუნდი ვმუშაობთ, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი ძალისხმევის კოორდინირება, დავფიქრდეთ მომავალზე და ჩამოვაყალიბოთ ერთიანი ხედვა, თუ რა მიმართულებით უნდა წავიყვანოთ ქვეყანა.

— იტოვებთ იმის დროს, რომ დააფასოთ მიღწეული წარმატებები, თუ ყოველთვის ხვალინდელ დღეზე ფიქრობთ?

— მიღწეული წარმატებები უნდა შევაფასო არა მე, არამედ ქართველმა ხალხმა, რადგან ეს წარმატებები მას ეკუთვნის. მე კარგად ვიცი საბოლოო მიზანი, რომლისკენაც ვისწრაფვით. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მივაღწევთ საბოლოო მიზანს, თავს ნებას მივცემ, დავფიქრდე წარსულზე და დავაფასო ჩვენი შედეგები. ამ ეტაპზე კი ამის ფუფუნება არა მაქვს, შესვენების უფლებას თავს ვერ მივცემ, წინ ხომ ამდენი სამუშაო გვაქვს.

ჩვენ დღესაც ვაანალიზებთ ჩვენს მოქმედებას და შესაბამისი შესწორებებიც შეგვაქვს. აქა-იქ შეცდომებიც იყო, მაგრამ ჩვენ მაინც წინ მივიწევთ. ჩვენ არ ვჩერდებით. ეს არის განვითარების პროცესის არსი.

ჩვენ ახლა გვირაბში ვართ, მაგრამ სინათლეს უკვე ვხედავთ. ჩემი ოცნებაა, დავანახო ხალხს ეს სინათლე.

როდესაც ემსახურები შენს ქვეყანასა და ხალხს, სულ სხვანაირი მოტივაცია და ენერგია გეძლევა.

„პარიზში დატრიალებულმა ტრაგედიამ დაგვანახვა, რომ ვითარების გადააზრების წინაშე ვდგავართ“

ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში ფუნდამენტალისტ ისლამისტთა გააქტიურების მიზეზებზე, რელიგიურ ურთიერთობათა თვალსაზრისით მოვლენათა განვითარების პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ კულტუროლოგ ლელა იაკობიშვილს ესაუბრა.

– ძალბატონო ლელა, ფრანგულ სატირულ ჟურნალ Charlie Hebdo-ზე განხორციელებულმა თავდასხმამ ევროპა შეძრა. მომხდარს მთელი ცივილიზებული სამყარო გმობს, მაგრამ ინტერნეტში ნაკლებად თუ შეხვდებით მომხდარის მიზეზებზე სიღრმისეულ ანალიზს. თქვენი შეფასება როგორი იქნებოდა? მომხდარი რა უფროა – სიტყვისა და აზრის გამოხატვის პრობლემა, ფუნდამენტური ისლამისადმი აგდებული დამოკიდებულება, რედაქციის თანამშრომლების მხრიდან პროვოკაცია, თუ აშკარად რელიგიური დაპირისპირების ნიშნების მქონე პროცესი, რომელსაც ევროპაში აქამდე მხოლოდ ლატენტური ფორმები ჰქონდა?

– პირველ რიგში, მინდა თანავუგრძნო ფრანგ ხალხს და ჩვენი პლანეტის იმ ადამიანებს, ვინც შეძრა მომხდარმა. როგორი ფორმულირებაც არ უნდა მივცეთ, გნებავთ, სიტყვისა და აზრის გამოხატვის პრობლემა დავარქვათ, გნებავთ, ფუნდამენტალისტური ისლამისადმი აგდებული დამოკიდებულება, რედაქციის თანამშრომლების მხრიდან პროვოკაცია, თუ კიდევ უფრო ფარული და მძიმე – რელიგიური დაპირისპირების ნიშნების მქონე პროცესი, ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანების სასტიკ, განზრახულ, წინასწარ დაგეგმილ მკვლელობასთან, რომელსაც ტერორიზმი ჰქვია. მას კი არავითარი კავშირი არა აქვს არც ერთ რელიგიურ იდეოლოგიასთანაც კი, არა თუ რელიგიასთან.

ვფიქრობ, სრულიად სხვა თემაა იმ მიზეზების ძიება, რომელიც ტერორიზმს წარმოშობს და, რომლის გამოც შესაძლოა, ამა თუ იმ რადიკალური მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა უშუალო ახლობლებიც კი გახდნენ მსხვერპლნი. ამიტომ, კიდევ უფრო დიდი სიფრთხილე გვმართებს მაშინაც, როცა ასეთი ტიპის თემების განხილვას ვიწყებთ მედიაში, რამდენადაც მას უკვე ინფორმაციული ომის რეზონირებადი ეფექტი აქვს.

ტერორიზმი გლობალიზაციის თანამედროვე მითის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე რეალობაა, მით უფრო, რომ თანამედროვე გლობალური მსოფლიოს ვირტუალური და საეთერო სივრცე სიამოვნებით „იკვებება“ ამ სისხლიანი ამბებით. ჯერ კიდევ ვერ ვიაზრებთ, როგორ სტრუქტურირდება ტერორიზმის შედეგების შემზარავი სურათებით მთელი დედამიწის მოსახლეობა, ჩვენს თვალწინ როგორ „ხორციელდება“ უახლესი „ინფორმაციული კულტურის“ მითი, სადაც ღირებულებითი, კულტურათა თუ ცივილიზაციური შეჯახების თემა ძალაუფლების სრულიად ახალმა დისკურსმა – სისხლიანი ძალადობით (რომელიც არც ბრძოლაა და არც ომი, ამ უკანასკნელ ორს თავისი წესები აქვს) საინფორმაციო ძალაუფლების მოპოვების სრულიად მიზანმიმართულმა ფორმებმა შეცვალა.

დღეს მკვლელობაზე შემართული იარაღი მხოლოდ მაშინ გახლავთ „რეზონირებადი“, როცა საინფორმაციო ძალაუფლებაც შენია. რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ტერორისტები და მათი პოლიტიკური თუ ფინანსური ლობისტები საინფორმაციო სივრცის ძალმოსილებასა და მის ფლობაზე აკეთებენ გათვლას.

შესაძლოა, ზედმეტად კატეგორიული ვარ, მაგრამ ჩვენ, რიგითი ადამიანები ისე შევეჩვიეთ ინფორმაციის საეთერო ვერსიას, ისე ვცხოვრობთ ფსევდომითოსურად კონსტრუირებულ საეთერო სივრცეში და იმდენად ერთმნიშვნელოვნად აღმოვჩნდით საინფორმაციო სივრცით მონუსხულები, რომ ნამდვილი რელიგიური განცდისათვის თუ ღირებულებათა მიმართ ჩვენი უშუალო, პიროვნული დადგინებისათვის არც დრო და არც ადგილი არ გვრჩება.

აშკარაა, რომ ტერორისტებისა და მათი ლობისთვის სხვისი სიცოცხლე მხოლოდ მასალაა, მხოლოდ საზარბაზნე ხორცია, რომლის გასროლამაც ხმაური უნდა გამოიწვიოს და სახელმწიფოს სტრუქტურირებული ძალაუფლების სივრცე საინფორმაციო ძალაუფლებით შეარყიოს. აი, რატომ ითვლება ტერორიზმი გლობალიზაციის ერთ-ერთ უმძიმეს სიმბოლოდ.

2001 წლის 11 სექტემბრის, ბესლანისა თუ ნორვეგიის საზარელი ტერაქტებისგან განსხვავებით, პარიზში დატრიალებულ ტრაგედიასთან მუსლიმურ სამყაროს არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მიუხედავად პარიზის ტერაქტთან მსხვერპლის მასშტაბის არათანაზომადობისა, მედიაზე განხორციელებულმა ტერაქტმა კიდევ უფრო მძიმე რამ დაგვანახვა – საინფორმაციო სივრცეშიც კი, სახელმწიფოს რაფინირებული ძალაუფლება უნებლიეთ ვირტუალურ ძალაუფლებას უპირისპირდება, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. საინფორმაციო ძალაუფლების ერა ახლა დაიწყო. მხოლოდ მისი წყალობით გახდა შესაძლებელი ტრანსნაციონალური კომპანიების უზომოდ დიდი ეკონომიური წარმატება, ეკონომიკური პროცესებით პოლიტიკის მართვა, დეტერიტორიზაცია, ვესტერნიზაცია, ეთნიკურ, რელიგიურ და, ზოგადად, კულტურულ იდენტობათა რღვევა. ამ ყველაფრის ინსტრუმენტი ინფორმაციული ტექნოლოგიებია, რითიც ძალზე იოლია საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება და მისი სტრუქტურირება.

სწორედ ფრანგი ფილოსოფოსები აღწერენ ამ მანიპულირების შედეგს, როგორც „მდუმარე უმრავლესობის ჩრდილს“. შეხედეთ, როგორია თითქოს სპონტანურად გაჩენილი, მაგრამ სრულიად ორგანიზებული საზოგადოებრივი აზრი. და როგორ ფიქრობთ, რაზეა იგი მიმართული. იმ რელიგიურ გრძნობებსა და სიცხადეზე, რომლისთვისაც ტერორისტების მიერ არაერთხელ დატრიალებული ჯოჯოხეთი საკმარისზე მეტ საფუძველს იძლევა? სრულიადაც არა. უწინამც საქმის გარჩევაზე, მტყუან-მართლის გარკვევაზე, ძალაუფლების იმ კომუნიკაციური სივრცის კონსტრუირებაზე, რომლის ფორმატს სრულიად სხვანი გვთავაზობენ, როგორც ღირებულებათა ორ სხვადასხვა აღწერას და რომელსაც უნებლიეთ, როგორც ლოკომოტივს, ისე მიებმებიან ინფორმაციის „მომხმარებელნი“ – სიტყვის თავისუფლების აპოლოგეტებიც და რელიგიური გრძნობებისადმი პატივისცემის გამოხატვის აპოლოგეტებიც. აღარავის ახსოვს არც ამ ყველაფრის რეალურ საფუძველში გარკვევა და აღარც იმაზე ფიქრი, როგორ გავარღვიოთ ამ მოჯადოებული წრის რეჟიმი.

– ხომ არ შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ მომხდარი მულტიკულტურის იდეის კრახის შედეგია ან ღია დაპირისპირების ფაზაში გადასული ცივილიზაციური დაპირისპირება, რომელსაც ცივილიზებულმა სამყარომ ჯერ არ იცის, როგორ დაუპირისპირდეს და გაუმკლავდეს. თქვენი აზრით, რასთან უფრო გვაქვს საქმე – ევროპაში მულტიკულტურის იდეის კრახთან თუ ახლო აღმოსავლეთში „ისლამური სახელმწიფოს“ გაჩენის გამო შუა ევროპაში ცივილიზაციურ დაპირისპირებასთან?

– დიახ, ალბათ ყველაფერი ერთადაა. ნებისმიერი, თუნდაც ერთი შეხედვით „მდარე“ კულტურის რეჟიმი გაცილებით მყარი და ძნელად დასარღვევია პოლიტიკურ რეჟიმთან შედარებით. კულტურის რეჟიმი იმ ღირებულებათა საზრისებზე დგას, რომელსაც ნებისმიერ კულტურაში რელიგიური (და არა მხოლოდ აღმსარებლური) საფუძველი აქვს.

ამ რელიგიური სიცხადეების მიმართ დგინდებოდა და დგინდება ნებისმიერი კულტურა ყოფითი ქცევებითა და ჩვევებით დაწყებული, მაღალი თუ ნატიფი ხელოვნების ჩათვლით. სწორედ ამის გამო გლობალისტურმა დეტერიტორიზაციამ, რა თქმა უნდა, ცივილიზაციათა შეჯახება გამოიწვია. თუ „ცივი ომის“ დროს ჯერ კიდევ შეიძლებოდა პირველ, მეორე და მესამე ქვეყნებად დაყოფილიყო მსოფლიო, რა თქმა უნდა, თანამედროვე მსოფლიოში უკვე ასეთმა დაყოფამ აზრი დაკარგა. ლიბერალიზმის იდეოლოგიამ კი, შემოიტანა მულტიკულტურულობის პარამეტრი, როცა შესაძლებელია, ამა თუ იმ კულტურის თუ სუბკულტურის უმცირესობამ მისთვის კულტურული მოცემულობით არაორგანულ გარემოში შეინარჩუნოს და განავითაროს თავისი კულტურა. რა თქმა უნდა, ამ ჰუმანური იდეის საზრისის ეჭვქვეშ დაყენება მხოლოდ შედეგებზე დაკვირვებითღა იქნება შესაძლებელი. შედეგები კი ის არის, რაც არის. იმ სრულიად ბუნებრივი მიზეზის გამო, რომ ადამიანი მხოლოდ კეთილ საწყისზე არ დგას, ხშირ შემთხვევაში უმცირესობებმა თავისი სოციალური პოზიციის „კაპიტალიზაციას“ მიჰყვეს ხელი, მით უფრო, რომ იდეოლოგიური კონიუნქტურა უმცირესობის ამ „კაპიტალის“ განმტკიცებას უწყობს ხელს. იდეოლოგიური მანქანა კი ისეთი რამ გახლავთ, რომელიც აღარ დაგიდევთ, მისი რეჟიმის ქვეშ მყოფი ადამიანები მადლს შობენ თუ ბოროტებას. ამიტომაც ამ ახალ რეალობაში თავად მულტიკულტურალიზმს კანონმდებლობის დონეზე მოუწევს პოლიტიკურ დისკურსში შესვლა, რომ მულტიკულტურალიზმის საფუძველში მყოფი – ჰუმანური იდეა გადაარჩინოს. ყველა სხვა შემთხვევაში შესაძლოა, ეს კეთილი იდეა მისივე იდეოლოგიზების მსხვერპლი გახდეს. ამის საშიშროება არა თუ არსებობს, არამედ წარმოჩენილია და უკანასკნელი ტერაქტის განხილვების ფორმატიც ამის იქით არ მიდის. ისევ მხოლოდ ისლამური ფუნდამენტალიზმის გამო დგება მხოლოდ საკითხი ისე, გვავიწყდება კიდეც, რომ მედლის მეორე მხარეს შესაძლოა, თავად მულტიკულტურული იდეოლოგიის კულტურაში დაბადებული მონსტრი – ევროპელი ბრეივიკი აღმოჩნდეს, რომელსაც ხელი არ აუკანკალდება ამ იდეოლოგიების მიღმა მდგარი ყმაწვილებისა და გოგონების დახოცვაზე.

სხვა თემაა, და რა თქმა უნდა, რეალურად არსებობს მუსლიმური ფუნდამენტალიზმიც და სხვა ტიპის რელიგიური ექსტრემიზმიც, რომელთათვისაც უცხოა განსხვავებული ღირებულებითი საზრისების აღიარება. ამჯერად მუსლიმურმა ფუნდამენტალიზმმა ახალ ხერხს მიმართა – კანონმდებლობის სტრუქტურაში მოქცევით, მაგალითისთვის, „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნით ის ცდილობს, სახელმწიფოებრივი პარადიგმის საზღვრებში მოაქციოს თავისი ქცევა, რომ პოლიტიკური დისკურსიც შეიძინოს. ამიტომ სრულიად აშკარაა, როცა ადამიანებს, რომლებსაც ისეთი შემოქმედებითი ნება ადუღაბებთ, როგორიც კულტურაა, იქ მხოლოდ კანონით დადგენილი ურთიერთობების გარდა, კულტურის მიერ სხვა კულტურის აღიარების ნებაც უნდა მონაწილეობდეს, რომელიც შეუძლებელი ხდება რიგ შემთხვევაში, რამდენადაც ნებისმიერი ომი კონკრეტული კულტურის, კონკრეტული ღირებულებების ექსპანსიას ემსახურება და ამის თვალსაჩინო მაგალითი მსოფლიო ისტორია გახლავთ.

– მე-20 საუკუნემ დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე და ძალა საკმაოდ ბევრჯერ გვანახა. ევროპულმა დემოკრატიამ და საიმიგრაციო კანონმდებლობამ ათასობით მუსლიმს ევროპის ქვეყნებში ჩასვლისა და ცხოვრების საშუალება მისცა, მაგრამ დრომ აჩვენა, რომ სწორედაც რომ ევროპაში მულტიკულტურის იდეის კრახის გამო ფუნდამენტური ისლამი სულ უფრო მეტად იკრებს ძალას, რაზეც ახლო აღმოსავლეთში „ისლამური სახელმწიფოს“ მრავალათასიანი ჯგუფების მიმდევრების გაჩენაც მეტყველებს. ამაზევე მეტყველებს გერმანიასა და შვეიცარიაში მუსლიმების მოთხოვნები, იმდენი მეჩეთი იქნას აგებული, რამდენიც მათ სურთ, რამაც ამ ქვეყნებში სულ ცოტა ხნის წინათ საპროტესტო აქციების ტალღა ააგორა. ფაქტია, რომ მომხდარის შემდეგ შუა ევროპაში სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებები იძულებული იქნებიან, გაამკაცრონ ბრძოლა ფუნდამენტალურ ისლამთან, რაც თავის მხრივ ამ ჯგუფებისაგან წინააღმდეგობას გამოიწვევს. ფაქტია, რომ მომხდარმა შეესაძლოა, სახიფათო ტენდენციას ჩაუყაროს საფუძველი. რამდენად დიდია ევროპაში რელიგიური ომის საფრთხე?

– დიახ, მე ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ ლიბერალური ღირებულებების სივრცეში არაერთი ექსტრემისტული იდეოლოგია და არა მხოლოდ მუსლიმური ფუნდამენტალიზმი, საკუთარი თავის, როგორც „უმცირესობის“ სოციალური პოზიციის „კაპიტალიზაციას“ ახდენს, სწორედ ლიბერალურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით. ეს ურთულესი თემაა და მუსლიმური ფუნდამენტალიზმის შემთხვევაში შესაძლოა, კიდევ სხვა რამ იყოს გასათვალისწინებელი. იარაღი, როგორც საბრძოლო, ისე ტექნოლოგიური ნებისმიერი ქვეყნის იდეოლოგიის ნაწილს წარმოადგენს. თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი მისი „ღირებულებითი ატრიბუტია“.

ნებისმიერი სახელმწიფისა თუ ქვეყნის შინაგანი, ღირებულებითი დემონტაჟი იწყება მაშინ, როცა იგი იარაღით ვაჭრობას იწყებს, როცა იარაღს სასაქონლო ფუნქციას ანიჭებს და თავის რჩენის საშუალებად აქცევს. ამ ყოველივეს სწორედ ფრანგი ჟან ბოდრიარი თავის ცნობილ ესეში „ტერორიზმის სული“ უწოდებს „სიტუაციის ტერორისტულ ტრანსფერს“ და ამბობს, რომ ტერორიზმი არის პასუხი ახალი მსოფლიო ეკონომიური წესრიგის – გლობალიზაციის რაფინირებულ ტერორზე.

ამით მსოფლიო თითქოს საკუთარ გლობალიზაციას ეწინააღმდეგება. ამიტომ, რაც არ უნდა ეთნიკური და რელიგიური ნიშნით შევაფერადოთ ტერორიზმი, მას არც საზრისული, არც ღირებულებითი და არც იდეოლოგიური ბერკეტები არ გააჩნია. ასე რომ, კეთილისა და ბოროტის ბრძოლა სადღაც სხვა სიბრტყეზე დარჩა. ამჯერად ორი დემონი იბრძვის, ერთი, რომელიც უნიფიცირებას ეწევა ერების, ეთნოსების, რელიგიების, კულტურების და მეორე ამ ძალადობის საპირწინე და მისივე იდეოლოგიით გაუკუღმართებული ფსევდორელიგიურობა და ფსევდონაციონალიზმი, რომელსაც როგორც პირველს (რომელსაც იდეალურად ზოგადადამიანური უნიფიცირების სურვილის ხარჯზე) საკუთარ ნამდვილ ადამიანურ უნიკალურ ეთნიკურობასა თუ ნამდვილ რელიგიურობასთან დიდი ხანია, საერთო დაუკარგავთ. ამიტომ, სრულიად ცალსახაა ის კრიზისი, რომელშიც ეს ღირებულებათა „ომი“ მიმდინარეობს. ევროპასაც და ისლამისტურ სახელმწიფოებსაც (და არა მხოლოდ მათ) მოუწევთ ამაზე დაფიქრება და იმ ღირსეული ურთიერთობის წესების დადგენა, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთს ხელსაც გაუწვდიან ადამიანის იდეის გადასარჩენად.

– ექსპერტ ზაალ ანჯაფარიძის ინფორმაციით, მარტო საფრანგეთში 750-ზე მეტი ე.წ. „შარიათული ზონაა“, რომლებიც, ფაქტობრივად, ავტონომიური ტერიტორიებია, სადაც შარიათული კანონებით ცხოვრობენ და, როგორც ამბობენ, ფრანგული პოლიცია იქ ცხვირსაც ვერ ყოფს. თუმცა, სხვა მონაცემებით, საჭიროების შემთხვევაში პოლიცია ამგვარ ტერიტორიებზე საკმაოდ მკაცრადაც მოქმედებს. თქვენი აზრით, მომხდარზე როგორი იქნება საფრანგეთის და სხვა ევროპული ქვეყნების რეაქცია? მენიშნა ვერსალის სასახლეში პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის შეხვედრა ექს-პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან, რომელმაც თავის დროზე, როცა იგი საფრანგეთის შსს-ს მინისტრი იყო, პოლიტიკური კარიერა იმით გაიკეთა, რომ სასტიკად გაუსწორდა ემიგრანტებს, რომლებმაც საფრანგეთის არაერთ ქალაქებში აქციების მოწყობის გარდა, არეულობები

გამოიწვიეს, მაღაზიები, რესტორნები და მანქანები დაწვეს...

— თუ 750 სახელმწიფოსგან კონტროლს მიღმა დარჩენილი აგრესიული სუბკულტურა არსებობს, ეს უკვე საკმარისზე მეტ საფუძველს იძლევა, რომ ვიფიქროთ, როგორი ექნება ხვალინდელი დღე არა მხოლოდ ევროპას, არამედ ჩვენს პლანეტას. მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, რომ ტერორიზმმა მართლაც ისლამური ფუნდამენტალიზმის წიაღში იპოვა ნოყიერი ნიადაგი. ეს, ვფიქრობ, ისლამური სამყაროს სერიოზული საფიქრალია. პარიზში დატრიალებულმა ტრაგედიამ დაგვანახვა, რომ სიტუაციის გადააზრების წინაშე ვდგავართ და ამის შესახებ თქვენ თქვენს კითხვაში მიუთითებთ კიდეც.

რა თქმა უნდა, ძალზე ბევრი იქნება დამოკიდებული იმ ადამიანთა აზროვნების თვალსაწიერსა და ნებაზე, რომელთაც „ძლიერნი ამა სოფლისანი“ ჰქვიათ. ტერორიზმის მსოფლიო საფრთხე უკვე აღარ გახლავთ ვინმესთან ან რაიმე ძალასთან ომის უწინდელი კანონებით ბრძოლა ან გამკლავება და ეს დღეს უკვე აშკარაა. მნიშვნელოვანია, ალბათ, ისიც, როგორი რეაქცია ექნებათ ყოველივე ამაზე და კიდევ „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგიაზე მუსლიმურ სახელმწიფოებს.

— როცა „ისლამური სახელმწიფოს“ პრობლემაზე ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს დაუზუსტებელი მონაცემებით „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეზე მებრძოლი საქართველოს 100-მდე მოქალაქის არსებობა. პრაქტიკულად, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა მცირე ჯგუფები, მაგრამ მაინც ჩვენი მოქალაქეები, ღიად უჭერენ მხარს „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნას. იმის გათვალისწინებით, რომ ისინი რელიგიურ განათლებას სხვადასხვა მუსლიმურ ქვეყნებში იღებენ, არაა გამორიცხული, რომ სხვა ქვეყნების მედრესეებში სასწავლებლად წასული საქართველოს მოქალაქეებმა კვლავაც შეავსონ „ისლამური სახელმწიფოს“ მხარადამჭერთა რიგები. ამ თვალსაზრისით რამდენად დიდ საფრთხეს წარმოადგენენ ისლამური ქვეყნების მედრესეებში სასწავლებლად წასული საქართველოს მოქალაქეები? და კიდევ, თქვენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ როგორც სახელმწიფომ, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერებისაგან საფრთხეები მაქსიმალურად შემცირდეს?

— ეს საქართველოსთვის, რა თქმა უნდა, მძიმე გამოწვევა გახლავთ. საქართველოში მუსლიმი მოქალაქეები ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენენ. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ გახლავთ, მათ რიგებშიც აღმოჩენილიყვნენ ექსტრემისტული განწყობის მქონე ადამიანები. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის სიმწირის გამო არც ის არის გამორიცხული, მათი ხასიათის ამ თვისებებით სარგებლობდნენ ისინი, ვინც ამ ხასიათს ფულითაც დააფინანსებს საკუთარი მიზნებისათვის. ამიტომ გარკვეული საფრთხეები, რა თქმა უნდა, არსებობს. ამიტომაც, საქართველოს, ეკონომიკური თუ საგანმანათლებლო პოლიტიკის გარდა, შესამუშავებელი აქვს რელიგიური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის შემუშავება დაწყებულია. ნახევარი წელია, რაც დაარსდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც ორიენტირებულია ამ მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავებაზე. მედრესეთა გახსნისა თუ საქართველოში მუსლიმი მოსახლეობის სწავლების საკითხიც, ალბათ, ფაქიზ მოპყრობასა და დიდ ყურადღებას იმსახურებს. ჩემი მოკრძალებული აზრით, ჩვენ გვყოფნის ნება, ჩვენივე არაქართველ და ქართველ მუსლიმ ადამიანებს საქართველოში შევუქმნათ იმის პირობები, რომ შეეძლოთ საკუთარი რელიგიის სიღრმეების წვდომა, მისი სწავლებაცა და სწავლაც.

საქართველო თავისი პოლიმოზაიკური კულტურით, პოლიეთნიკურობითა და პოლირელიგიური მრავალფეროვნებით სრულ საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ მას ჯერ კიდევ აქვს შინაგანი რესურსი საიმისოდ, რომ ამ გამოწვევებს გაუმკლავდეს. ქვეყნის რელიგიური და საგანმანათლებლო პოლიტიკა სრულ უნისონში უნდა მოექცეს. ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ ამაზე ზრუნვა უკვე დაიწყო. ახლა მთავარია, ზუსტად ვიცოდეთ მსოფლიო გამოწვევები და ღირსეული პარტნიორობა გავუწიოთ ჩვენში ჩვენსავე ღირსეულ და კეთილ ნებას, რომელიც მუდმივად გვკარნახობს, სად ვაშავებთ და სად ვართ მართალნი.

კოგა გენდელიანი



„ის, რაც თქვენ გაქვთ, არავის აქვს მსოფლიოში, — ეს თქვენი ხელმძღვანელის იდეებია“.

ჰერბერტ ჯასპერი.
კანადა.

„ის, რაც მან შექმნა, რაც მან აღმოაჩინა და რასაც მიაღწია, არასოდეს არ მოკვდება და ყოველთვის წინ უბიძგებს მეცნიერების განვითარებას“.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

ის, რაც მან შექმნა, ყოველთვის წინ უბიძგებს მეცნიერებას!..

აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის დაბადების 130-ე წლისთავი

ივანე ბერიტაშვილი XX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერია, გონებამახვილი ექსპერიმენტატორი, შორსმჭვრეტელი და გამბედავი თეორეტიკოსი გასაოცარი მიგნებებით. მან შექმნა საქართველოში უძლიერესი სამეცნიერო სკოლა, სახელმოხვეჭილი როგორც ერუდიციით, ისე მეცნიერული შემოქმედების დიაპაზონით.

ივანე ბერიტაშვილი დაიბადა 1884 წლის 10 იანვარს (ძვ. სტილით 1884 წლის 24 დეკემბერს) საქართველოში, სიღნაღის მაზრის სოფელ ვეჯინში; სოფლის მღვდლის სოლომონ ბერიტაშვილის და სალომე სამჭკუაშვილის მე-11 შვილი იყო, სუსტი აღნაგობის, მაგრამ უტეხი ნებისყოფის, არაჩვეულებრივად მშრომელი და გონიერი, სწავლას მოწყურებული.

დაწყებითი განათლება ჯერ ვეჯინის სკოლაში მიიღო, შემდეგ თელავის სასულიერო სასწავლებელში. სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც მიატოვა, იქ გაბატონებული მძიმე ატმოსფეროს გამო. სიმწიფის გამოცდები ექსტერნად ჩააბარა. სოციოლოგიით დაინტერესდა, სოციოლოგიური ფაკულტეტის საძებნელად რუსეთში გაემგზავრა. მაგრამ არც მოსკოვში და არც პეტერბურგში ასეთი არ არსებობდა. ბოლოს პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა. ცნობილი ფიზიოლოგის ნიკოლაი ვედენსკის ლაბორატორიაში ცივსისხლიან ცხოველებზე ცდებს ატარებდა. ჩუმი, მორცხვი და არაჩვეულებრივად ნიჭიერი ახალგაზრდა ვედენსკიმ თავის კათედრაზე დატოვა. ქ. ყაზანში გააგზავნა, სამოილოვთან, ელექტროფიზიოლოგიური მეთოდების ასათვისებლად; შემდეგ — ჰოლანდიაში მაგნუსთან თბილსისხლიან ცხოველებზე ქირურგიული მეთოდების ასათვისებლად. რუსეთში დაბრუნების შემდეგ ი. ბერიტაშვილმა ოდესაში დაიწყო მუშაობა პრივატ-დოცენტად. იქ გაიცნო და იქორწინა ქ-ნ ოლღა ნივინსკაიაზე.

1919 წელს ივანე ჯავახიშვილის მოწვევით თბილისში დაბრუნდა, უნივერსიტეტში სამუშაოდ. იმავე პერიოდში დაიწერა რუსულ ენაზე დიდი ორტომეული „კუნთოვანი და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია“, რომელიც ბევრჯერ გამოიცა. ამ ორტომეულისთვის 1941 წელს სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრასთან ი. ბერიტაშვილმა 1935 წელს დააარსა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც ივანე ბერიტაშვილის სახელი მიენიჭა მეცნიერის დაბადების 50 წელთან დაკავშირებით. 1939 წელს ი. ბერიტაშვილმა დააარსა საქართველოს ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საზოგადოება (ახლა — საქართველოს ფიზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება). 1938 წელს ი. ბერიტაშვილს მიენიჭა ივანე პავლოვის სახელობის პრემია, 1939 წელს აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ი. ბერიტაშვილი იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა 1941 წელს. იგი არჩეული იყო აკადემიის პირველი მოწვევის ნამდვილ წევრად. 1944 წელს არჩეული იყო სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. შემდგომში ი. ბერიტაშვილი არჩეული იყო ინგლისის სამეფო სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრად, აშშ ენციფალოგრაფიული საზოგადოების, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის, აშშ ფსიქიატრთა საზოგადოების და სხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრად. 1964 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მიღებული აქვს უმაღლესი სამთავრობო ჯილდოები.

ივანე ბერიტაშვილი არის 400-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი. მათ შორის მრავალი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოსი. შრომათა დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია უცხოურ ენებზე.

ი. ბერიტაშვილის ინტერესების სფერო მეტად მრავალმხრივი იყო: კუნთოვანი და პერიფერიული ნერვული სისტემის ფიზიოლოგია, ზურგის ტვინის ფიზიოლოგია, თავის ტვინის ღეროს ელექტროფიზიოლოგია, თავის ტვინის მოქმედების ზოგადი ფიზიოლოგია, უმაღლესი ნერვული მოქმედება, სივრცეში ორიენტაცია, მეხსიერება და ბოლოს — გონიერი მოქმედება.

უამრავი აღმოჩენის ავტორია, მაგრამ ბევრი მისი აღმოჩენა და მეცნიერული მიგნება დიდი ხნით უცნობი დარჩა დასავლეთის ქვეყნების მეცნიერებისთვის. ასეთი იყო, ზურგის ტვინში მოქმედი ე.წ. „ანტიდრომული შეკავების“ მექანიზმის დადგენა, აგრეთვე ვარაუდი თავის ტვინის ღეროს ბადისებრი წარმონაქმნის ფუნქციის („ნეიროპილის“) შესახებ, რაც 50-იან წლებში ბრწყინვალედ დადასტურდა ჰ.მეგუნის და ჯ.მორუცის მიერ.

30-იან წლებში ი. ბერიტაშვილმა შემოიღო ახალი მეთოდი, — ცხოველთა ქცევის შესწავლა თავისუფალი მოძრაობის პირობებში, რამაც უდიდესი ნაყოფი გამოიღო: ი. ბერიტაშვილი ჯერ კიდევ 30-იან წლებში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პირობითრეფლექსური მოქმედება არ უნდა იყოს ტვინის მოქმედების უმაღლესი გამოვლინება. იგი აგროვებდა ფაქტებს იმის დასამტკიცებლად, რომ ცხოველების ქცევას განსაზღვრავს არამარტო პირობითრეფლექსური მოქმედება, არამედ ფსიქონერვული მოქმედებაც. ასეთმა მიდგომამ საფუძველი დაუდო დღეს საყოველთაოდ მიღებულ, მეხსიერების ორ ძირითად — „პროცედურულ“ (იგივე პავლოვისეულ „პირობითრეფლექსურ“) და „დეკლარაციულ“ (იგივე ბერიტაშვილისეულ ფსიქონერვულ მოქმედებაზე დაფუძნებულ „ხატისმიერ“) ფორმებად დაყოფას. სწორედ ამ დებულების დასაგმობად, 1951 წელს საკავშირო აკადემიაში გაიმართა პავლოვის საბჭოს სხდომა, რომელზეც საჯაროდ განიხილეს ბერიტაშვილის ფსიქონერვული თეორია და დაადგინეს, რომ ბერიტაშვილი „იდეალიზმის ჭაობში ჩაეფლო“, რომ „მისი საქმიანობა ზიანს აყენებს საბჭოთა მეცნიერებას“ და ა.შ. შედეგად, როგორც „ანტიპავლოველს“ და „იდეალისტს“ აუკრძალეს ლექციების კითხვა, ექსპერიმენტების ჩატარება და გაათავისუფლეს მისივე სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან. იმ წლებში, როცა ივანე ბერიტაშვილი აიძულეს თავი დაენებებინა ექსპერიმენტული კვლევებითვის, მან მეცნიერების სხვა დარგში დაიწყო მოღვაწეობა, — შეისწავლიდა ძველ ქართულ ხელნაწერებს ადამიანის ბუნების შესახებ.

მეცნიერებაში დატრიალებულმა ქარტეხილმა რომ გადაიარა, ივანე ბერიტაშვილი კვლავ დაუბრუნდა ნეიროფიზიოლოგიას. 1958 წელს მოსკოვში გაიმართა კოლოკვიუმი მსოფლიოს გამოჩენილი ნეიროფიზიოლოგების მონაწილეობით. კოლოკვიუმის შემდეგ ბატონი ივანე მსოფლიო ფიზიოლოგთა პატრიარქად აღიარეს. იმ დროს სახელგანთქმული მეცნიერები — ჰ.მეგუნი, მ.ბრეჟე, რ.გალამბოსი და კანადელი ჰ.ჯასპერი, — აღფრთოვანებულები ივანე ბერიტაშვილის მეცნიერული აზროვნებით და მისი პიროვნებით მოხიბლულნი, კოლოკვიუმის შემდეგ ი. ბერიტაშვილს საქართველოში გამოჰყვნენ, რათა ახლოს გასცნობოდნენ მის ლაბორატორიებს და შემოქმედებით მუშაობას. ივანე ბერიტაშვილის ასეთი აღიარება ჭეშმარიტი ტრიუმფი იყო.

სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ბატონი ივანე დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. სამი აკადემიის ნამდვილი წევრი, ის იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს 4 მოწვევის დეპუტატი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების, შემდეგ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელი, 1939 წლიდან — მის მიერ დაარსებული საქართველოს ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების (შემდგომში — ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოების) უცვლელი თავმჯდომარე.

ი. ბერიტაშვილის სამეცნიერო-საორგანიზაციო დიდოსტატობის მწვერვალი „გაგრის საუბრები“ იყო. მან შემოიღო მეცნიერთა შეხვედრების და სამეცნიერო დისკუსიების ახალი ფორმა: ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ბატონი ივანე ირჩევდა განსახილველად კუნთოვანი და ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის ერთ რომელიმე პრობლემას, ამ პრობლემაზე მომუშავე ყველაზე თვალსაჩინო მეცნიერებს იწვევდა სიმპოზიუმზე გაგრაში. დღეში მხოლოდ ერთ მოხსენებას ისმენდნენ, ხანგრძლივი დისკუსიებით.

ი. ბერიტაშვილის ღვაწლი სათანადოდ იქნა დაფასებული მის ცხოვრებაში. მას მიღებული ჰქონდა სსრკ და საქართველოს სახელმწიფო პრემიები, ი.პავლოვის და ი.სეჩენოვის სახ. პრემიები, მთავრობის უმაღლესი ჯილდოები, საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მის პატივსაცემად ორჯერ გამოიცა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი შრომების სქელტანიანი კრებულები, დაბადების 70-ე და 90-ე წლისთავთან დაკავშირებით.

ივანე ბერიტაშვილის დაბადების 90-ე წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად ემზადებოდა მთელი საზოგადოება. მოსაწვევი ბარათები უკვე დაბეჭდილი იყო. მაგრამ... ვერ მოესწრო. მისი გარდაცვალებით (1974 წლის 29 დეკემბერი) დასრულდა მთელი ეპოქა ქართული მეცნიერების ისტორიაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;

ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;

საქართველოს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოება

საპროტესტო მარში პარიზში და იატაკქვეშა თამაში ახლო აღმოსავლეთში



ჟურნალ „შარლი ებდოს“ (Charlie Hebdo) რედაქციაზე თავდასხმა კარგა ხანს შეახსენებს მსოფლიოს იმ არცთუ სახარბიელო სიმშვიდეს, რაც აუცილებელია ნორმალური ცხოვრებისთვის. საფრანგეთში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა მთელი მსოფლიოს თანაგრძნობა გამოიწვია, არა მარტო დახოცილთა და მათი ოჯახის წევრთა მიმართ, არამედ მთლიანად ფრანგი ხალხის მიმართ.

საპროტესტო მარშში, რომელიც პარიზისა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში გაიმართა, მონაწილეობა მიიღო თითქმის 4 მილიონმა ადამიანმა, მიუხედავად რელიგიური მრწამსისა, კანის ფერისა და მსოფმხედველობისა. საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამართულ მარშში მსოფლიოს 50 ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერი, მინისტრი, პოლიტიკოსი, საზოგადო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მონაწილეობდა. მსგავსი მასობრივი ღონისძიება საფრანგეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ გამართულა. მხოლოდ ისტორიას და მცირე რაოდენობის თვითმხილველის აზროვნებას შემორჩა გენერალ დე გოლის ტრიუმფალური შესვლა ქ.პარიზში. მაშინაც, ისე, როგორც ამჟამინდელი მარშის დროს, პარიზის ქუჩები ხალხს ვერ იტევდა.

მაინც რა იყო ეს მარში – პროტესტი ძალადობის წინააღმდეგ, ანტიისლამური გამოსვლა, რადიკალური ისლამის – სალაფიზმის, ვაჰაბიზმის წინააღმდეგ გალაშქრება თუ შეფარული შიში ხვალინდელი დაუცველი ცხოვრებისა?

საფრანგეთის პრეზიდენტის ოლანდის ბრძანებით ათი ათას სამხედრო მოსამსახურეს, პოლიციასა და ჟანდარმერიასთან ერთად დაევალა სახელმწიფო დაწესებულებების, სტრატეგიული ობიექტების, მასმედიის ოფისების, ქუჩების დაცვა. მაგრამ ყველა კუთხე-კუნჭულის თვალთვალი შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია ჯარის მიერ უსაფრთხოების მუდმივი კონტროლი. ჯარს თავისი საქმე აქვს.

5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს,
		შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. როხის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 650 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. როხის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	118 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	11,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	224 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 16 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 10		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 43 95 57
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში
		მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტზე (ჭა) სახურავის მოწყობა. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. კოდას მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 10000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. კოდას მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	323 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	32,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	265 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 16 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო „არასწორ“ ომებში მონაწილეობისთვის დასჯას ამკაცრებს

მთავრობამ დაამუშავა შესწორებები ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში დაქირავებულების წინააღმდეგ

საძართველოს პარლამენტს განზრახული აქვს დაჩქარებული წესით დაუჭიროს მხარი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადებას მოქალაქეთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ უცხოეთის ქვეყნების ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისთვის „უკანონო შეიარაღებული ფორმირებების“ შემადგენლობაში. ეს შესწორებები შეეხება ასობით ქართველს, რომლებიც იბრძვიან „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფების შემადგენლობაში, მაგრამ არა მათ, ვინც მოხალისედ ჩაეწერა უკრაინის არმიაში ქვეყნის აღმოსავლეთში ოპერაციებში მონაწილეობისთვის.

სისხლის სამართლის კოდექსისთვის შესწორებების მომზადების შესახებ, რაც მიზნად ისახავს **„ბრძოლის გაძლიერებას ტერორიზმთან და მიმართულია ქვეყნის მოქალაქეთა მონაწილეობის წინააღმდეგ შეიარაღებულ კონფლიქტებში სხვა სახელმწიფოებში“,** — განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. მან დააზუსტა, რომ შესწორებები დაამუშავა შინაგან საქმეთა სამინისტრომ და უკვე შეტანილია პარლამენტში, სადაც, ჩვენი მონაცემებით, მათ განიხილავენ დაჩქარებული წესით. **„ჩვენი მოქალაქის მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში უცხოეთის ქვეყნების ტერიტორიებზე, რაც გათვალისწინებული არ არის ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით და რაც საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება, დაისჯება კანონით“,** — გვაცნობა მინისტრმა და დაუმატა, რომ ამიერიდან სისხლის სამართლის დანაშაულებად ჩაითვლება დაქირავებაც და მოწოდებაც დაქირავებისკენ.

თბილისში აღიარებენ: კანონმდებლობის გამკაცრების აუცილებლობა ნაკარნახევია იმით, რომ საქართველოს მუსლიმანური რწმენის ასობით მოქალაქე ამა თუ იმ გზით წავიდა სირიასა და ერაყში, რათა იბრძოლონ „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფების მხარეს. 12 მათგანი დაიღუპა კიდეც საბრძოლო მოქმედებების დროს.

ქართველი პოლიტოლოგის, კავკასიის სპეციალისტის მამუკა არეშიძის მონაცემებით, **ასობით ახალგაზრდა კაცი მართლაც გაემგზავრა საბრძოლველად სირიასა და ერაყში, და ზოგიერთი მათგანი „სახელგანთქმულიც კი გახდა“. მაგალითად, პანკისის ხეობის მცხოვრები თარხან ბათირაშვილი „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საველე მეთაურია. „იბრძოლონ „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეზე მიდიან არა მხოლოდ პანკისის ხეობის მუსლიმანები, არამედ აჭარიდანაც, აგრეთვე ქვემო ქართლის რეგიონიდანაც, სადაც უმთავრესად აზერბაიჯანელი მოსახლეობაა“,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში ბატონმა არეშიძემ, რის შემდეგაც ხაზგასმით დაუმატა: „ისინი მიდიან არა ფულისთვის, არამედ იდეისთვის“. **„ამ პროცესის კონტროლი ძალიან რთულია იმიტომ, რომ პოტენციური ბოევიკები თითქოსდა მიემგზავრებიან თურქეთში ფულის გამოსამუშავებლად და უკვე იქიდან გადადიან სირიასა და ერაყში“,** — განმარტა ჩვენმა თანამოსაუბრემ.

რაც შეეხება საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც უკრაინაში იბრძვიან, ზემოაღნიშნული ცვლილებები მათზე გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გახდებიან „უკანონო შეიარაღებული ფორმირებების“ წევრები. ამის შესახებ განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. ამრიგად, თუ საქართველოს მოქალაქეები ჩაეწერებიან „მოხალისეთა ბატალიონების“ შემადგენლობაში, ეს არ ჩაითვლება საქართველოს კანონის დარღვევად.

როდესაც სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შესახებ საუბრობდა, მინისტრი წულუკიანი მთავრობის სახელით თითქოსდა უპასუხებდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სკანდალურ განცხადებას, რომელიც მან გააკეთა წინა დღით ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში პირდაპირი ჩართვის დროს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც იგი მუდმივად ცხოვრობს 2013 წლის ნოემბრიდან. მან განაცხადა, რომ მთავრობას **„თითი-თითზე არ დაუკარებია“, რომ შეეჩერებინა საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სირიაში ომში გამგზავრებას აპირებდნენ. მაგრამ ამავე დროს „თმებს იგლეჯავს იმის გამო, რომ ქართველი პატრიოტები იბრძვიან უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ“.**

Коммерсантъ

სომხები საქართველოზე გადაერთვნენ

სამამულო ექსპერტის სიტყვებით, საქართველოში სომხური სეპარატიზმი ვითარდება

„საძართველოში უკანასკნელ ხანებში სომხური სეპარატიზმი ვითარდება. და სტატუს „პოლიტპატიმრისგან“ გათავისუფლებული ვაჰან ჩახალიანი ერთ-ერთი მთავარი სეპარატისტია. ყოველივე ამასთან ერთად, სომხურ სეპარატიზმს საქართველოში მხარს უჭერს თავად სომხეთი. ასეთი თავისი „წვლილი ამ პროცესში შეაქვს ევროპის სომხური ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს კასპარ კარაპეტიანს“, — ამის შესახებ გვითხრა პოლიტიკური ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელმა მუბარიზ აჰმედოღლუმ.

იგი ამ ცოტა ხნის წინათ იყო საქართველოში, შეხვდა ამ ქვეყნის ხელმძღვანელობას, აგრეთვე ზოგიერთ სომეხ სეპარატისტს. სომხებმა გაიგეს, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლებაში ზოგიერთ პირს ნაკლებად აინტერესებს თავისი ქვეყნის ბედი, და გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ სიტუაცია. თუ სომხური სეპარატიზმი განვითარდება კვლავაც, აზერბაიჯანელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ჩაერთვებიან ამ პროცესში თავისი ინტერესების დასაცავად. მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანი დაინტერესებულია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებით“, — თქვა აჰმედოღლუმ.

მისი სიტყვებით, სომხური სამოციქულო ეკლესიის ქართულმა ეპარქიამ წამოაყენა საკითხი იმის შესახებ, რომ ყველა ეკლესია, რომლებიც გასაბჭოებამდე სომხებს ეკუთვნოდა, უნდა დაუბრუნდეს მათ. ამ ინფორმაციას აქტიურად ავრცელებს სომხეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „არმენპრესი“. სომხები გრძნობენ, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობა არ მუშაობს საქართველოს ეროვნული უშიშროების ინტერესებისთვის, არ ზრუნავს სახელმწიფობრიობის განვითარებისთვის, და გადაწყვიტეს კიდეც გამოიყენონ მომენტი.

აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ „პოლიტპატიმრის“ სტატუსით გათავისუფლებული ვაჰან ჩახალიანი აპირებს მოაწყოს უწესრიგობანი ჯავახეთში, იტყობინება საქართველო ონლაინი. ამ მიზნით მან შექმნა შეიარაღებული დაჯგუფება 60-70 კაცის შემადგენლობით.

ინფორმაცია ამის შესახებ გაავრცელა ყოფილმა პოლიციელმა, ღირსების ორდენის კავალერმა კარინა გრიგორიანმა.

„ჩემი წყაროს ინფორმაციით, ჩახალიანი აპირებს მოაწყოს უწესრიგობანი რეგიონში. მან უკვე შეაგროვა შეიარაღებული დაჯგუფება 60-70 კაცის შემადგენლობით და ულტიმატუმს უყენებს ამჟამინდელ ხელისუფლებას. თუ ჩახალიანი, მართლაც, განახორციელებს ჩანაფიქრს, პირადად ვაცხადებ, რომ მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება დღევანდელ ხელისუფლებას მოუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმის გამო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ისინი არაერთგზის გააფრთხილეს, რომ ჩახალიანი საფრთხეს წარმოადგენს რეგიონისთვის, ხოლო მისი გათავისუფლება ციხიდან იქნება შეცდომა“, — განაცხადა კარინა გრიგორიანმა.

ვაჰან ჩახალიანი დააპატიმრეს მიხეილ საკაშვილის პრეზიდენტობის დროს. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ჩახალიანი გაათავისუფლეს ციხიდან პოლიტპატიმრის სტატუსით.

პრეზიდენტის ვადის გასვლამდე გაიმართა მისი შეხვედრა მიხეილ საკაშვილთან ახალციხეში, რაც მცირე გადალაპარაკების შემდეგ დასრულდა მისი გაქცევით თავის მომხრეებთან ერთად.

„ქინქლები დაზვერვის მთავარი სამმართველოდან მე მორალს ვერ წამიკითხავენ. ის, ვინც ციხიდან გამოგიშვა, ძალიან შეცდა!“ — უთხრა მაშინ საკაშვილმა ჩახალიანს.

ЭХО

დედამიწის ზურგზე

ბარაკ ობამა და დევიდ კემერონი დაგვპირდნენ, რომ გააგრძელებენ ზემოქმედებას რუსეთზე

ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერების ერთობლივი სტატია გამოქვეყნდა „დი ტაიმსში“. მასში ნათქვამია, რომ ქვეყნები გააგრძელებენ ეკონომიკური დახმარების გაწევას უკრაინისთვის და მის მხარდაჭერას დემოკრატიის განმტკიცებაში. იქვე აღნიშნულია, რომ საერთაშორისო გაერთიანება არ შექმნის საშუალებას — მოხდეს ვითარების დესტაბილიზაცია — და რუსეთს აშკარად აგრძნობინეს, რომ საერთაშორისო სამართლის დარღვევა დაუსჯელი არ დარჩება.

* * *

კოსმონავტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე რუსეთის ფედერაციის ანტისანქციის გამო შეიძლება უსაკვებოდ დარჩნენ, მაგრამ რუსეთელები მზად არიან გაუყონ მათ თავიანთი საკვები

კვების პროდუქტების ტვირთი, რომელიც საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე 17 თებერვალს უნდა გაეგზავნათ სატვირთო ხომალდ „პროგრეს მ-26-მ“-ით, გაიჭედა „სადღაც საბაჟოზე“. ამავე დროს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მედიკო-ბიოლოგიური პრობლემების ინსტიტუტში, რომელიც პასუხისმგებელია რუსი კოსმონავტების სამედიცინო თანხლებაზე, დაგვარწმუნეს, რომ შიმშილი რუსეთის დასავლელ პარტნიორებს საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში არ ემუქრებათ.

* * *

ორმა ამერიკელმა დაასრულა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ძნელად მისაღწევ მწვერვალზე უნიკალური ასვლა

კლდეზე მცოცავებმა დაიპყრეს ერთ-ერთი თითქმის ფრიალო მთა ელ-კაპიტანი კალიფორნიის ეროვნულ პარკში იესემიტიში სულ რაღაც სამ კვირაში. ამავე დროს მათ არ გამოუყენებიათ არანაირი დამატებითი აღჭურვილობა, გარდა საკუთარი ხელებისა და ფეხებისა, აგრეთვე საჯავშნო ბაწრებისა. დღემდე ამგვარი რამე ვერავინ შეძლო.

* * *

ტერორისტებს, რომლებიც თავს დაესხნენ ჟურნალ „ჩარლი ჰებდოს“ რედაქციას, 20 ათასი დოლარი გადაუხადეს, გაიგო პრესამ

ასეთი თანხა ტერაქტის განხორციელებისთვის ერთ-ერთ ძმა კუაშის გადასცა „ალ-ქაიდას“ იემენის ფილიალმა — „ალ-ქაიდამ“ არაბეთის ნახევარკუნძულზე“, — რომელმაც იკისრა პასუხისმგებლობა ჟურნალისტებზე თავდასხმაში. ამ დროს ამერიკელმა სპეციალურმა სამსახურებმა ვერ აღმოაჩინეს რაიმე კავშირი იემენის „ალ-ქაიდასა“ და ძმებ კუაშებს შორის უკანასკნელ თვეებში.

◎ მოამაგე

შეუკაზმავ ცხენს ფეხშიშველი რომ შემოახტებოდა, თავს ზღაპრულ გმირად წარმოიდგენდა და ამღერებული ისე მიაქროლებდა, თვალს ვერ მოჰკრავდით.

მათიკაანთ უბანში მსხდომი კაცები ღიმილით გადახედავდნენ ერთმანეთს და ჩაილაპარაკებდნენ: – ე, რა მოუსვენარი ბალღია, დილიდან საღამომდე არ გაჩერდება, ბულბულივით სულ გალობს.

– ეგ ბალღი დიდი მომღერალი გამოვა, ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, მისით ვიამაყებთ.

ასეთ საუბარს ხშირად გაიგონებდით არა მარტო მათიკაანთ უბანში, მისი ამბავი მთელს ყვარელს მოსდებოდა. სკოლაში ხან დაავიწყდებოდა, გაკვეთილზე რომ იჯდა და უცებ ისე შემოსძახებდა, ფანჯრის მინები ზანზარს იწყებდა.

სიგიჟემდე უყვარდა თეატრი. ოპერის თეატრში არასოდეს არ ყოფილა, თუმცა კლასიკური ოპერებიდან ყველა არია ზეპირად იცოდა. ეს რადიოს დამსახურება იყო, რომელსაც გაუთავებლად უსმენდა.

უბნის ბალღებს შეკრებდა და წარმოდგენებს მართავდა. რეჟისორიც თვითონ იყო, მთავარი გმირის შემსრულებელიც და მუსიკალური გამფორმებელიც.

ვანო მათიკაშვილის ოჯახში ხუთი ძმა და ერთი და იზრდებოდა. უბრალო კახელი კაცი შესანიშნავი მეურნე იყო. ავ თვალს არ დაენახვებოდა, ისეთი მოვლილი ვენახი ჰქონდა.

ირაკლის დედის ქეთევანის გენები გამოჰყვა. მისი სანათესაო კარგად მღეროდა.

ირაკლი თავს ყველაზე კარგად ტყეში გრძნობდა. ახალი კინოფილმი რომ გამოვიდოდა, საკმარისი იყო ერთხელ მოესმინა იქ აჟღერებული სიმღერა, რომ მეორე დღეს დურუჯის ხეობას ეფინებოდა ის.

თექვსმეტი წლისა იყო, როცა დედამ პირველად წაიყვანა თბილისში. ცნობილი მომღერალი მამია ხატელიშვილი ქეთევანის ნათესავი იყო და როცა ირაკლის სიმღერებისადმი სიყვარული გაიგო, დაინტერესდა.

– აბა, რას იმღერებ ყმაწვილო?!, – კითხა ირაკლის ბატონმა მამიამ. ირაკლი, ცოტა არ იყოს, შეცბა, სად დურუჯის პირას სიმღერა და სად ქალაქში. თუმცა, ძალა მოიკრიბა და თავისებურად შემოსძახა: – „მზეო, ამოდი, ამოანათე“ – რამდენჯერ შეხვედრია ლილი იაშვილის ამ სიმღერით მზის ამოსვლას კახეთში. ხმა, რასაკვირველია, ჯერ ჩამოყალიბებული არ ჰქონდა, მაგრამ მამიას ძალიან მოეწონა და გადაწყვიტა, მიეყვანა მაშინდელ ენგელსის ქუჩაზე სამუსიკო სასწავლებელში, რომელსაც არჩილ ჩიმაკაძე ხელმძღვანელობდა და თუ მოზარდი მოეწონებოდათ, სწავლა იქ გაეგრძელებინა.

– ძალიან სოფლურად მაცვია, ასე როგორ წავიდე, – ამის თქმა მოასწრო და მაშინვე უფროსი ძმის კოსტიუმში გამოაწყვეს. სასწავლებელში მოუსმინეს, შეაქეს და პირველ კურსზე დაიწყო სწავლა.

– პირველად როიალი რომ დავინახე, – მეუბნება ირაკლი, – ჩვენი ცხენის „ტაჩკა“ მეგონა. ეთერ წვერავას ჩამაბარეს და სიმღერის შესწავლა პროფესიონალურად დავიწყე.

სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა და კონსერვატორიის სტუდენტიც გახდა.

ვაკეში სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. სწორედ მაშინ გაიცნო ანზორ ერქომაიშვილი და დამეგობრდნენ. ხშირად მათი ოთახებიდან ისეთი სიმღერა გამოდიოდა, გულგრილს არავის ტოვებდა.

– ერთ დღეს ანზორმა მითხრა: ირაკლი, მონახე ბიჭები, დავიწყოთ მუშაობაო. მეც ეს მინდოდა, დილიდან გვიან საღამომდე ვმუშაობდით. მალე, 1968 წელს, ანსამბლი „რუსთავი“ შეიქმნა. ასე შეეწირა ჩემი კონსერვატორია „რუსთავს“. სადღა მეცალა კონსერვატორიისთვის.

ანსამბლმა „რუსთავმა“ საქართველოში სახელი მალე გაითქვა და უცხოეთის მაყურებელიც მოხიბლა.

1972 წელს „რუსთავს“ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი მიენიჭა.

ასე დაიწყო დურუჯის პირზე გაზრდილი ერთი პატარა ბიჭის მსოფლიოს საუკეთესო დარბაზებში წარმატებით გამოსვლა.

პარიზის „ოლიმპია“, „ფლეიერი“ და „მოგადორი“, ლონდონის „ალბერტ ჰოლი“ და „ელიზაბეთ ქვინი“, ვენის ფილარმონიისა და მოცარტის სახელობის დარბაზები, ნიუიორკის „ბეკონი“, მოსკოვის „დიდი თეატრი“ და ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზი, ბერლინის დიდი საკონცერტო დარბაზი, რომის, მადრიდის, ტოკიოს, ლისაბონის, ვარშავის, სტამბოლის, კიევის, მინსკის, რიგის, ვილნიუსის, ტალინის საკონცერტო დარბაზები – ეს არასრული ჩამონათვალია იმ სახელგანთქმული საკონცერტო ცენტრებისა, სადაც „რუსთავი“ გამოსულა და წარმატებები მოუპოვებია. ამ წარმატებებში ხომ ირაკლი მათიკაშვილის წვლილიც არის.

ყვარლელებს ეამაყებათ, რომ მათი თანამემამულე ანსამბლთან ერთად ყველა საამაყო ჯილდოს იზიარებდა – რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება რომ მომანიჭეს, ძალიან გამიხარდა, მერე სხვა წოდებებსა და ჯილდოებს უკვე მშვიდად ვხვდებოდი, – ამბობს მასწავლებელი, რომელსაც არაერთი თაობა აღუზრდია.

„ხეურო“ – სიმღერა, რომელიც სიყვარულს ჰგავს

ირაკლი მათიკაშვილი

ბევრ რეპეტიციას დავსწრებივარ, მაგრამ იმან, რაც იმ დღეს „ხეუროს“ რეპეტიციაზე მოვისმინე და ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ირაკლი ყოველთვის დიდად აფასებდა ქართულ ხალხურ შემოქმედებას, გამუდმებით იმეორებს – ჩვენ ხალხისგან უნდა ვისწავლოთ, გულმოდგინედ უნდა დავიცვათ და განვავითაროთ მისი სასიმღერო მემკვიდრეობაო.

მხოლოდ ის, რომ ფოლკლორი გაქვს, საკმარისი როდია, მას დამცველი და პატრონი სჭირდება, არიან ადამიანები, რომლებიც ამ საგანძურს თაობიდან თაობას გადასცემენ. ჩვენდა საბედნიეროდ, ქართველებს ჰამლეტ გონაშვილი გვყავდა. დღეს კი ანზორ ერქომაიშვილი და თემურ ქევხიშვილი, ანდა გიორგი უშიკიშვილი რად ღირს.

ყველა ქვეყანას თავისი კულტურა აქვს, მაგრამ ქართულმა ფოლკლორმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ ის მსოფლიო კულტურის მბრძანებელია და რომ მას ბადალი არ ჰყავს. ეს ტრაბახი არ არის, ეს სრული ჭეშმარიტებაა“.

როცა სადაურობას ეკითხებიან, სიამაყით პასუხობს: „მე ილიას ყვარლიდან ვარ. მთელი სიცოცხლე თავში მიტრიალებდა, რომ ჩემს ყვარელში ბავშვებს ხალხური სიმღერა ემღერათ“.

2004 წელს, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დაიწყო ბავშვების მეცადინეობა. ოღონდ მუსიკაზე ევლოთ და 10-10 ლარს სტიპენდიას თვითონ აძლევდა პატარებს.

– ყვარლის მაშინდელმა გამგებელმა ლევან გამსახურდიამ და ბიზნესმენმა ლაშა პაპაშვილმა ძალიან შემიწყვეს ხელი. ფორმებიც შეგვიძინეს. ისე შეიყვარეს ბიჭებმა სიმღერა, რომ მეცადინეობას არ აცდენდნენ, ერთი სული ჰქონდათ, სიმღერას როდის დავიწყებდით. ისეთი ბავშვთა ანსამბლი შევქმენით, რომ წარმატებებსაც არ დაუყოვნებია. 2009 წელს ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე პირველი ადგილი დავიკავეთ, ხოლო 2010-11 წლებში ბათუმის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე უკვე გრან-პრის მფლობელი გავხდით.

ჩემი მიზანი და ოცნება იყო, ყვარელში ქართული ხალხური სიმღერის სკოლა გამეხსნა.

ეს ოცნება ავიხდინე.

ამ ზაფხულს ივნისში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ყვარლის წარმომადგენლობა გაიხსნა. ამაში ძალიან დამეხმარნენ ანზორ ერქომაიშვილი და გურამ დონაძე. აქ ყველაფერს ვასწავლით, ყველა უმაღლეს მუსიკალურ საგნებს. შენობაც სულ მალე გარემონტდება და მეტი რა უნდა უნდოდეს სიმღერაზე შეყვარებულ ადამიანს.

– ირაკლი, რას ნიშნავს „ხეურო“, – ყვარლის ანსამბლის სახელი?

– დიდი ხანი ყვარელში არსებულ დიდების ანსამბლებს მეტად საპატივცემულო ხელოვანი შალვა ქვაჭრელიშვილი ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი აღმოჩენილია სიმღერა „ხეურო“. სოფელ ენისელში უცხოვრია ერთ მჭედელ კაცს, რომელსაც რკინის შენადნობის საიდუმლო სცოდნია და ისეთ აბჯარს, ხმალს და შუბს ამზადებდა, რომ მტრის აბჯარი იმსხვრეოდა, იმტვრეოდა, იხეოდა, მის მიერ ჩამოსხმულ აბჯარასხმულ მეომარს კი მტერი ვერაფერს აკლებდა. ხალხს მჭედლისთვის ლექსი უძღვნია და სიმღერაც შეუქმნია:

„ღვთისგან კურთხეულ ხარ
შენ ენისელო მჭედელო,
შენი ნაჭედი ხმალ-შუბი
ჯაჭვის პერანგსა ხევდნენო.
აბჯარი რომ არ მოგეცვა
ლაშქარსაც გაგვიწყვეტდნენო
ვერც ქალსა მოვიტაცებდით,
წადილსა წაგვიხდენდნენო.
ხმალო დაკრულო ხეურო.

„მე კიდევ, იცი, რითი ვარ ამაყი?! ჩემი გაზრდილი ბიჭები დღეს საქართველოს ცნობილ ანსამბლებში რომ მღერიან, – მეუბნება ირაკლი. ბადრი ჩიხიაშვილი და ნუგზარ კახაშვილი ანსამბლ „რუსთავში“ მღერიან, ზურაბ ზურიაშვილი და მერაბ მაისურაძე – „ერისიონში“, თან უმაღლეს სალოტბარო სკოლაში სწავლობენ. ჩემს მერე ეს საშვილიშვილო საქმე ხომ უნდა გააგრძელონ.

ეს ბავშვები, ვინც დღეს ჩვენთან მეცადინეობს, შეიძლება, ყველანი მომღერლები არ გამოვიდნენ, მაგრამ სიმღერას რომ ნამდვილად შეიყვარებენ, ამაში ეჭვი არ მეპარება. სიმღერა ხომ სიყვარულსა ჰგავს.

როცა ცუდად ვარ, სიმღერა მოდის ჩემს საშველად, სიმღერას ვანდობ ჩემს სურვილს. სიმღერა ჩემთვის ყველაფერია, ლხინს გაგიხალისებს და ჭირს შეგიმსუბუქებს“.

ვუსმენდი ირაკლის და მეამაყებოდა, რომ ყვარელს ასეთი ჭირისუფალი ჰყავს. მას კი ნამდვილად გაფრთხილება და დაფასება სჭირდება.

ირაკლი მათიკაშვილმა მარტო კარგი სიმღერა კი არ იცის, კალამიც უჭრის. მას ხშირად თავისი საფიქრალი ლექსადაც უთქვამს, ხოლო ირაკლის წიგნმა „შეწყვეტილი სიმღერა“, რომელიც ჰამლეტ გონაშვილს ეძღვნება, ყველას გული მოინადირა. ისინი ხომ დიდი მეგობრები იყვნენ.

* * *

დიდი, მწვანე მოლით დაფარული და ყვავილებით დამშვენებული ეზო რაღაც ამაღლებულისა და მშვენიერებისკენ გიბიძგებს. ყვარლის მთები თითქმის ეზოშია შემოსული, ამას ამ სახლის სიმპათიური დიასახლისი, ირაკლის სათნო მეუღლე ქალბატონი მარიამის ყურადღებაც ემატება და მეტი რაღა უნდა შემოქმედ კაცს.

იმ დღეს, გამომშვიდობებისას, როცა მე მოჯადოებული ვიყავი მისი ეზო-ყურეთი, მითხრა, რომ ბუნებას, სინამდვილეში ყოველ საგანს და მოვლენას აქვს საკუთარი მუსიკა, ულერადობა და რომ მას ესმის მუსიკა ყოველივე იმისა, რასაც ხედავს და შეიგრძნობს.

ირაკლი აივნის მოაჯირს დაეყრდნო და იქაურობას გრძელი კახური მრავალჟამიერი მოეფინა.

მარადი ანასაშვილი

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ოჩაზები

კოჟორიძე დასაქმებულია, ვაჭარაძეღა დაგვრჩა დაუსაქმებელი

● დენთის სუნი მოდის ევროპიდან!

● ვინმემ სიგარეტი რომ დამიტოვოს და ბიჩოკი მე გადავაგდო, ჯარიმას გავიყოფთ?

● არის, აღსრულდა ოცნება, კოჟორიძე პრეზიდენტის მრჩეველია! ვაჭარაძეღა დაგვრჩა დასასაქმებელი.

● გზა ჩაინგრა, მელიქ აზარიანცი დაიწვა, ვაკეში წყალი არ არის, დიღომში შუქი არ არის ... კიდევ რა მოხდება ღმერთმა იცის და ეს უაზროები ნამწვს დასდევენ .... ტფუ!

● Ramilya Aliyeva დედაჩემი მართლმადიდებელია, მამაჩემი – მუსლიმი... ორივე მიყვარს! მშობლების სახლში ბიბლია და ყურანი ერთ ოთახში, გვერდიგვერდ დევს... დედაჩემი ღმერთს „უფალს“ ეძახის, მამაჩემი „ალლაჰს“... დედაჩემი ქართველია, მამაჩემი – აზერბაიჯანელი... დედაჩემი ქართულად ლოცულობს, მამაჩემი – აზერბაიჯანულად... არც შარლ ებდო ვარ და არც „ტერორისტი“... სიყვარულის შვილი ვარ!!!!

● 60-იან წლებში, ზეპირსიტყვიერებაში, ერთი სახუმარო ლექსი მიმოდიოდა: მაგონდებიან ბელადები, თვალს მადგება კურცხალია, დიდი ლენინი ცოცხალია! დიდი სტალინი ცოცხალია! მგონი ბერიაც ცოცხალია. ბოლო სტრიქონი, მეგრული აქცენტით, ჩურჩულით ითქმებოდა. - მიხეილ სააკაშვილი დაბრუნდება და ჩვენ ერთად გავაგრძელებთ ამ ქვეყნის შენებასო! - ხმამაღლა და რიხით თქვა დღეს ხაბაზმა. მგონი, ბერიაც ცოცხალია...

● ყვავმა რომ გადაასკინტლოს შუა ქალაქში, ვინ გადაიხდის?

● მოგიწოდებდით რამეს, ერთი კარგი აზრი მაინც რომ მქონდეს ....

● აბა თუ ვინმე იტყვის: დღეს მე შარლატანი ვარო!

● ტელევიზიაში დარეკა მსმენელმა ქალბატონმა (მე ვუყურებ, ქალბატონი, როგორც ჩანს, - უსმენდა) და ლევან ღვინჯილიას მიმართა: თქვენ, ალბათ, გურამ მამულია ბრძანდებითო... ელდანაცემმა ღვინჯილიამ, – გურამი ღმერთმა აცხონოს, თხუთმეტი წელია, რაც გარდაიცვალა, ქალბატონო, მე ლევან ღვინჯილია ვარო. ქალბატონს წარბიც არ შეუხრია, ისე გააგრძელა (ერთი – ჰოო?, კი თქვა) და ათიოდე წუთი გვიკითხა ლექცია ქართულ კულტურაზე.

ჩვენც, სხვა რა გზა გვქონდა, ვუსმენდით...

● „დღეს მე გიგი ვარ!“ (არა აქვს მნიშვნელობა, რომელი. უგულავა თუ წერეთელი. ერთი ოხერია). „დღეს მე ბაჩო ვარ“! „დღეს მე შარლი ვარ“! “ დ.ა.შ. არადა ეს სურვილები აშკარად ჯობია: - „მე ფიფქია ვიქნები“, „მე უფლისწულობა მინდა“, „მე სპაიდერმენი ვარ“, „მე ყავისფერ ტანსაცმელს ჩავიცვამ, მ@@რი ვიქნები და ჩა@@ამთ ზეიმში“! მე ბავშვობიდან კოსმონავტობა მინდოდა! ახლაც მინდა!

● კოჟორიძემ და მარგველაშვილმა მსუბუქი ყოფაქცევის ბლოკი შეკრეს?

● გია როინიშვილი რატო გააგდო თეატრიდან ქეთი დოლიძემ, კუკარაჩა არ ჰქონდა ნანახი?

● ბედი ქართლისა:
მეფე;
მეფისნაცვალი;
ცკ-ს I მდივანი;
ბარაკისნაცვალი.
კოჟორიძე.

● ბატონ პრეზიდენტს, ახალი მრჩევლის დანიშვნასთან დაკავშირებით, ვუგზავნი სამ მილოცვას უცხო ენაზე, სასურველის არჩევის უფლებით:
С новым гадом.
С новым гидом.
С новым гудом.
С новым гныдом.

● არ გადამაგდოთ, მამალი ბიჩოკი ვარ!

● ჩვენს შვილებს უხარიათ ეს ფეიერვერკები და არც იციან, რომ როცა დაიბადნენ, მაშინ ახალ წელს ხლაპუშკების ნაცვლად ლიმონკებს და ტრანსირებს ისროდნენ ავტომატის ჯერით ...ზოგს ფანჯრებში უვარდებოდათ ლიმონკის ასკოლკები და ტყვიის გულები ...ისე რა დრო იყო, ამის დედა ვატირე, არა?

● წავიდა ბიჩოკებზე სტატუსები ...CHARLIE HEBDO-ს დედაც ვატირე!

● 349 დღე არავის აღარ ვულოცავ არანაირ ახალ წელს (ჩინელი ნაცნობები არ მყავს)!

● 36 ლარი მაქვს. ლარსაც დავითრევ და მოსკოვში უნდა გადავფრინდე. საღამოს ჩამოვალ...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ფუტსალი

წარმატებული სტარტი

ლიტვის, საქართველოს, შვეიცარიისა და ესტონეთის ფუტსალისტთა ეროვნული ნაკრები გუნდები იბრძვიან ევრო-2016-ის შესარჩევი რაუნდის პირველი ეტაპზე, რომელსაც კაუნასის „დარიუსისა და ჟირენასის სპორტული ცენტრი“ მასპინძლობს. შეჯიბრება წარმატებით დაიწყეს ჩვენმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ესტონეთის ეროვნული გუნდი დამაჯერებლად — 6:3 დაამარცხეს

საქართველო: **ბუკია, ძაბირაძე, ალთუნაშვილი (კაპიტანი), რონი, ტიკურიშვილი,** სათადარიგოები: **კეფაშვილი, ჭანუყვაძე, ლუკავა, კობაიძე, თოდუა, სებისკვერაძე, მაისაია, ბობოხიძე, ჯვარაშვილი,** მთავარი მწვრთნელი: **ალიკ სარქისიანი.**

ესტონეთი: **რაიანდო (კაპიტანი), კოსტინი, სმეტანინი, ცურილკინი, ბისტროვი,** სათადარიგოები: **პუკინენი, რუბელი, ტასკა, პაპსო, სტაროდუბი, ანტონოვი, ალექსანდროვი, ალექსეევი,** მთავარი მწვრთნელი: **დიმიტრი სკიპერსკი.**

გოლები: **1:0 რონი, 2:0, 3:0 ძაბირაძე, 4:0 ტიკურიშვილი, 4:1 ალექსეევი, 5:1 სებისკვერაძე, 5:2 ტასკა, 5:3 პაპსო, 6:3 სებისკვერაძე.**

მთავარი მსაჯი: **გავინ სერთაინი (ინგლისი).**

ანგარიში ბრაზილიელმა რონიმ გახსნა. მატჩის დასაწყისშივე დაწინაურებულ ქართველებს მეტოქეებმა ვერაფერი დაუპირისპირეს — მეტიც, შესვენებამდე ძაბირაძემ (დუბლით) და ტიკურიშვილმა ანგარიშში სხვაობა ოთხამდე აიყვანეს. ესტონელებთან პაექრობისას, ასევე, ორი გოლით გამოირჩა სებისკვერაძე. სწორედ მან გაიტანა მეექვსე ბურთი ბალტიისპირელთა კარში.

ტურნირის პირველ დღეს მასპინძლები შვეიცარიელებს დაუპირისპირდნენ და 3:5 დამარცხდნენ. მეორე შეხვედრას ჩვენები შვეიცარიელებთან, ბოლო ორთაბრძოლას კი ლიტველებთან გამართავენ.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

სასტარტო შეხვედრები მოიგეს

ანტალიაში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომელშიც საქართველოს ორი წარმომადგენელიც მონაწილეობს. პირველ წრეში მეორე ნომრად განთესილმა ეკატერინე გორგოძემ იოლად ჩამოიშორა გზიდან მასპინძელი აილა აქშუ — 6:1, 6:1. მეორე წრეში ჩვენებური მარლის სუპერს (ავსტრია) შეხვდება. ტურნირის მე-4 ნომერმა სოფიო ქვაცაბაიამ რუს ვალენტინა კულიკოვას აჯობა — 6:3, 6:2. მე-2 პაექრობას იგი გერმანელ შარლოტე კლასენთან გამართავს. წყვილებში გორგოძე და ქვაცაბაია რეიტინგფავორიტები არიან და მთავარი პრიზისთვის დავაში მეოთხედფინალიდან ჩაებმებიან. მათი მეტოქე კრისტინა შმიდლოვა-პეტრა უბერალოვას (ორივე-სლოვაკეთი) და ვიკა კუხარჩუკი (რუსეთი)-ანასტასია სმირნოვას (ბელგია) დუეტებს შორის უძლიერესი იქნება.

ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპის სტარტზე ძალებს ცდიდა თბილისელი ნიკოლოზ ბასილაშვილი. იგი ხორვატ მატე დელიჩთან დამარცხდა 3:6, 7:6 (7:4), 6:8 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ლაშა დიდია

◎ სუმო

ტოჩინოშინის პირველი და გაგამარუს მე-5 მოგება

ძართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ, იგივე ტოჩინოშინმა ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგიკანში“ მიმდინარე სუპერტურნირზე ნანატრი გამარჯვება იზეიმა.

ტოჩინოშინს ჰაცუ ბაშოს საწყისი 4 შერკინება იოკოძუნებთან და ოძეკისთან ჰქონდა წაგებული, მე-5 ტურში კი ოძეკი გოეიდოს დაუპირისპირდა და უვატენაგეთი სძლია. გორგაძე, რომელიც იანვრის სუპერტურნირზე დასავლეთის პირველი მაეგაშირას წოდებით ირჯება, მომდევნო ბრძოლას დასავლეთის მე-3 მაეგაშირა ამინიშიკისთან გამართავს და იქნებ წარმატებული სვლა განაგრძოს.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ელიტარულ მაკუუჩი დივიზიონში დაუმარცხებელი კვლავაც 3 სეკიტორი რჩება: იოკოძუნები — ჰაკუჰო და ჰარუმაფუჯი და აღმოსავლეთის მე-6 მაეგაშირა ოკინოუმი.

ძურიოს დივიზიონში ჩინებულად ირჯება დასავლეთის მე-2 ნომერი გაგამარუ, რომელმაც მიჯრით მე-5 მოგება მიითვალა. თეიმურაზ ჯუღელმა აღმოსავლეთის მე-6 ნომერ ტამაასუკას კოტენაგეთი აჯობა. მისდარი მონაგარი მხოლოდ კაგაიაკის (დასავლეთის მე-8) და კიტატაიკის (აღმოსავლეთის მე-3) აქვთ.

გაგამარუ მე-6 ორთაბრძოლას აღმოსავლეთის მე-4 ნომერ ასაჰიშოსთან ჩაატარებს, რომლის მონაგარიც 4 გამარჯვებაა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

სანიკიძის „უნიქსმა“ ჩეხები დაამარცხა

ვიქტორ სანიკიძის „უნიქსმა“ ევროთასის მე-2 ჯგუფურ ეტაპზე პირველი გამარჯვება იზეიმა. ყაზანელები შინაურ კედლებში ჩეხურ „ნიმბურკს“ დაუხვდნენ და 75:67 იმარჯვეს.

ქართველმა ფორვარდმა მოედანზე 10 წუთი გაატარა და 3 ქულა, 7 მოხსნა (4 შეტევაში) და 1 პასი მიითვალა. სანიკიძემ 3-დან 1 ორქულიანი და 4-დან 1 საჯარიმო გამოიყენა, სამქულიანი ააცილა, ერთხელ დაჯარიმდა, მის წინააღმდეგ კი თამაშის წესები 2-ჯერ დაირღვა.

რუსული კლუბის რიგებში 10 და მეტი ქულა ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა ჩააგდო, ორმა კი ორმაგი დუბლიც შეასრულა: პაველ ანტიპოვის მონაგარი 11 ქულა და 13 მოხსნა იყო, კოსტას კაიმაკოღლუსი კი — 10 ქულა და 10 მოხსნა.

„უნიქსს“ A ჯგუფში თითო მოგება-წაგება გააჩნია და მე-3 ადგილზეა, მომდევნო მატჩს კი 21 იანვარს, შინ, ლიდერ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან“ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

რონალდო მინდორს უბრუნდება

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი რონალდო ფეხბურთს უბრუნდება. მან ამ თემაზე პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა ფეხბურთში დაბრუნების გადაწყვეტილება. ვეტერანის თქმით, ზაფხულში ფლორიდის კლუბ „ფორტ ლაუდერდეილში“ თამაშს გეგმავს, თუმცა „კიჭამ“ ხაზი გაუსვა ფეხბურთში დაბრუნების სირთულეს.

„ფეხბურთში დაბრუნება არ იქნება ადვილი, თუმცა, ვეცდები ინტენსიურად ვივარჯიშო და ზაფხულამდე სასურველ კონდიციებში შევიდე. მაქსიმალურად ვცდილობ წონის დარეგულირებას, რაც აუცილებელი ფაქტორია ფეხბურთში დასაბრუნებლად“, — აღნიშნა 38 წლის რონალდომ.

1996, 1997 და 2002 წლების მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა 2011 წლის თებერვალში დაასრულა კარიერა. მისი უკანასკნელი კლუბი „კორინთიანსი“ იყო.

გიორგი შოთაძე

◎ კრივი

მეივეზერი პაკიაოსთან ბრძოლისთვის 120 მილიონ დოლარს მიიღებს

YAHOO-ს ცნობით, ამერიკელმა მოკრივე ფლოიდ მეივეზერმა და ფილიპინელმა მენი პაკიაომ ისტორიულ შეთანხმებას მიაღწიეს. მოკრივეები 2 მაისს ლას-ვეგასში „MGM Grand Garden-ში“ ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჰონორარს 60/40-ზე მეივეზერის სასარგებლოდ გაიყოფენ. ფლოიდის საავარაუდო შემოსავალი 120 მილიონ დოლარს მიაღწევს.

მეივეზერის და პაკიაოს ორთაბრძოლაზე დასასწრები ბილეთების ფასი რეკორდულად მაღალი იქნება — ყველაზე ძვირი ბილეთი 5000 დოლარი ეღირება. აღნიშნულ მატჩზე თუ ყველა ბილეთი გაიყიდა, ორგანიზატორები 40 მილიონ დოლარს გამოიმუშავებენ.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ლარისას მორიგი სიურპრიზი

რა ხანია აღარ დაგვიწერია პარაგვაელ მოდელსა და ფეხბურთზე გულშევარდნილ ლამაზმანზე — ლარისა რიკელმეზე. იგი ბოლოს მაშინ მივატოვეთ, როდესაც ამ უკანასკნელმა დაიწუწუნა, ვისაც კი არ ეზარება, ყველა ჩემზე ჭორაობს და იმ ზღვარზე ვარ, საერთოდ მივივიწყებ ფეხბურთსაც და მოდელობასაცო.

მაგრამ აბა ვის გვჯეროდა ლარისას ამ წუწუნარევი სიტყვების? აგერ, გავიდა ცოტა ხანი და ლარისა რიკელმეს ფეხბურთის ქომაგებისათვის კიდევ ერთი სიურპრიზი მოუგონია. ეს ფუმფულა, დალოცვილმკერდიანი ქალბატონი პარაგვაის ნაკრების მატჩებს ძველებურად დაესწრება და სტადიონის ტრიბუნაზე ვინც მის გვერდით მოხვდება, ყველას ჩამოურიგებს თავის მეგა-შოუზე დასასწრებ ბილეთებს.

ჰო მართლა... ლარისა რიკელმეს რამდენიმე თვეა თავისი შოუ აქვს, რომელიც სტრიპტიზის ელემენტებს შეიცავს და იქ დასწრებაზე მავანნი ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ. ჰოდა, ფეხბურთის ქომაგ კაცსაც მეტი რა უნდა. სტადიონის ტრიბუნაზე ლარისა რიკელმე თავისი შოუს ბილეთს რომ ჩაგახუტებს (თუნდაც პარაგვაის ნაკრებმა წააგოს), ხომ დადგები კარგ ხასიათზე?...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კანონმდებლები

შეიქმნება საყდრისის თემაზე დროებითი საგამოძიებო კომისია?

საყდრისის საბადოს თაობაზე შესაძლოა, პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია არ შეიქმნას. „ქართული ოცნება“, კონსერვატორები და მრეწველები კომისიის შექმნის წინააღმდეგ კვლავ გამოდიან და საკითხის მხარდაჭერას არ აპირებენ.

გასული წლის დეკემბერში, პარლამენტმა კომისიის შექმნა მიზანშეწონილად მიიჩნია და საკითხი კენჭისყრაზე 58 მომხრე ხმით გავიდა, თუმცა, კომისიის შექმნის თაობაზე უმრავლესობაში აზრთა სხვადასხვაობაა. რესპუბლიკელები და „ეროვნული ფორუმი“ კომისიის შექმნას მხარს ისევ უჭერენ, „ქართული ოცნება“ კი, თემის პოლიტიზებაზე აპელირებს და კომისიაში კვოტების ათვისებას არ აპირებს.

for.ge-ს ინფორმაციით, ფრაქციები „ქართულ ოცნებას“ კომისიის შექმნის მხარდაჭერის სანაცვლოდ, კომისიის თავმჯდომარის პოსტს სთავაზობენ, თუმცა, გია ვოლსკის ფრაქცია ამაზეც უარს აცხადებს.

როგორც for.ge-ს „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა ნინო გოგუაძემ განუცხადა, პარლამენტი ვალდებულია, რომ ასეთი კომისია შექმნას. დეპუტატის თქმით, ამჟამად, დეპუტატებს შორის კონსულტაციები კომისიის დაკომპლექტების თვალსაზრისით უნდა წარიმართოს და არა იმაზე, კომისია უნდა შეიქმნას თუ არა. კანონმდებლის ცნობით, ის კომისიის შექმნის თაობაზე ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს გია ვოლსკისა და პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს შეხვდა.

გოგუაძე მიიჩნევს, რომ თუკი კომისია არ შეიქმნება, მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ხელისუფლების მიერ საყდრისთან დაკავშირებით ჩადენილია დანაშაული, უფრო გამყარდება.

„თავისუფალი დემოკრატების“ მსგავსად, საყდრისის საბადოზე კომისიის შექმნას ნაციონალური მოძრაობაც ითხოვს. for.ge-სთან საუბარში ოპოზიციონერი დეპუტატი დავით დარჩიაშვილი აცხადებს, რომ უმრავლესობის ზოგიერთი ლიდერი კომისიის შექმნას იმით შეაფერხებს, რომ კომისიის დაკომპლექტებაში მონაწილეობას არ მიიღებს. დეპუტატის შეფასებით, უმრავლესობას რაიმე პრობლემა საერთოდ არ ადარდებს, თუკი ეს საკითხი ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს არ აღელვებთ.

კომისიის შექმნას მხარი უმრავლესობაში შემავალმა რესპუბლიკელებმა დაუჭირეს და როგორც for.ge-სთან საუბარში ფრაქციის თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი აღნიშნავს, მისი ფრაქცია საკითხთან მიმართებაში პოზიციას არ ცვლის. დეპუტატის განცხადებით, კომისიის შექმნა „ქართული ოცნების“, მრეწველებისა და კონსერვატორების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

როგორც for.ge-ს მრეწველმა ზურაბ ტყემალაძემ განუცხადა, მას კომისიის შექმნა მიზანშეწონილად არ მიაჩნია. დეპუტატის თქმით, როდესაც საკითხს პროკურატურა იძიებს და დავა სასამართლოში მიმდინარეობს, ამ ფონზე, კომისიის შექმნა საჭირო არ არის.

მრეწველების მსგავსად, კომისიის შექმნის მიზანშეწონილობას მხარი არც კონსერვატორებმა დაუჭირეს, რომლებიც ამჟამად, ერთპიროვნული პოზიციის გამოხატვისგან თავს იკავებენ.

„ქართული ოცნების“ წინააღმდეგობის მიუხედავად, პარლამენტს საყდრისის საბადოს თაობაზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხზე მსჯელობა საგაზაფხულო სესიაზე მოუწევს, რომელიც 3 თებერვალს გაიხსნება. კომისიის შექმნისთვის საჭირო 76 დეპუტატის ხმა იქნება და დაბრკოლებასაც ეს წარმოადგენს, რადგან საკითხის მიზანშეწონილობას მხარი მხოლოდ 58-მა დეპუტატმა დაუჭირა, მათ შორის იყვნენ – რესპუბლიკელები, ნაციონალები, „ეროვნული ფორუმი“ და ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები – გოგი ქავთარაძე, ელისო ჩაფიძე, როსტომ ხალვაში, თამაზ ჯაფარიძე, უმრავლესობაში ახლახან გადასული ენზელ მკოიანი და კახაბერ ოქრიაშვილი. ასევე საკითხის დადებითად გადაწყვეტას დამოუკიდებელი დეპუტატები – გიორგი გაჩეჩილაძე და მურმან დუმბაძე დათანხმდნენ.

იქიდან გამომდინარე, რომ საკანონმდებლო ორგანომ კომისიის შექმნის მიზანშეწონილობა განსაზღვრა, კომისიაში ფრაქციებმა კანდიდატურები უკვე წარადგინეს. კომისიაში ნაციონალების წარმომადგენლებად მივლენილი არიან – სერგო რატიანი, ხათუნა გოგორიშვილი და ირმა ნადირაშვილი, „თავისუფალი დემოკრატებიდან“ შალვა შავგულიძე და ნინო გოგუაძე, ხოლო რესპუბლიკელებიდან ლევან ბერძენიშვილი.

შეგახსენებთ, რომ კომპანია RMG-მა საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოები დაახლოებით ერთი თვის წინ განაახლა და საყდრისის ბორცვზე აფეთქება განახორციელა, რის გამოძიებას ითხოვენ დეპუტატები.

თეონა მანაგაძე

მეუღლე ნინო ადამაძე, შვილები ლაშა, ლელა, ძმა თეიმურაზი, და მარინა, რძლები მაია აბულაძე, დეა მჭედლიშვილი, შვილიშვილები ავთანდილ, დეიკო, მარიამ შაშიაშვილები, ქრისტინე, ლუკა კუპრაშვილები, შვილთაშვილი ნიტა კოსტავა, დისშვილი შალვა ხეცურიანი ოჯახით, ძმისშვილები გიორგი, ნინო, ნესტანი ოჯახით და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ გივის ძე შაშიაშვილი

პანაშვიდი 16, 17 I, დაკრძალვა 18 I, 15 სთ. მისამართი: ქუთაისი, კონსტანტინე გამსახურდიას მე-5 შესახვევი №1.

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მამუკა ვაშაკიძე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის სახელით გულწრფელად უთანაგრძნობენ ბატონ თეიმურაზ შაშიაშვილს ძვირფასი ძმის

ავთანდილ გივის ძე შაშიაშვილის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს, სამეგობროს და სანათესაოს.

◎ სათრეველა

ორუცნობიანი განტოლება

დამნაშავე დეპუტატი აკაკი ბობოხიძე პარლამენტის თავმჯდომარის დაუმორჩილებლობისთვის დააჯარიმეს 1 დღის ხელფასით.

ამოცანა გვეკითხება: რას უდრის პარლამენტის 1 დღის ხელფასი და რამდენად აღემატება ჩემი, როგორც პენსიონერის ერთადერთ შემოსავალს – ერთი თვის პენსიას!

გივი თოდაძე,
90-ს მიღწეული „არქიტექტურის რაინდი“

ცრემლმორეული აღსარება

პარლამენტის თავმჯდომარის, კაკაბეთელ დავით უსუფაშვილის იმქამინდელი ამონაკვნესი, როდესაც პარლამერნტში გამართული ხელჩართული ბრძოლის დროს გაზეთებიდან შეიტყო, რომ ახალშეღერებული თხა დეპუტატ როლანდ ახალაიას ჩოჩორი ეგონა.

ბოღმისგან ლამის ავტირდი:
დეპუტატად გვყავს სატირიც
და მტაცებელი ნადირიც!

ქუთაისური რამე-რუმე

გასჭრეს და არ გაზომეს

გაუაზრებელი დაგეგმვისა და შრომის არასწორი ორგანიზაციის გამო უამრავჯერ გაითხარა ქალაქის მთავარი სამოძრაო არტერიები.

დაუჯდება ქალაქს ეფი,
თხრას რომ ბოლო უჩანდეს
სოლომონის, თამარ მეფის
და სხვა ცნობილ ქუჩაზე.

ეს რა ტიპებს გადაგვყარეს,
თუ ხალხი ხართ, შეგვეშვით,
ფული ათჯერ გადაყარეს,
ერთხელ საკეთებელში!

ვედრება დამწვარ-დადაგულისა

იცვლებიან გუბერნატორებიც, მერებიც, მაგრამ დღემდე არაფერი ეშველა დიდი ხნის წინათ დამწვარ „მასწავლებელთა სახლს“, რომელიც მათივე ფანჯრებიდან თვალნათლივ ჩანს, ნაგვითა და ქვეწარმავლებითაა სავსე და ოპერის თეატრთან სასიკვდილო საფრთხეს უქმნის ხალხმრავალ გამზირზე ფეხით მოსიარულეებს.

მის სადარდელს - ძველს და ახალს
რა ტანჯვა შეედრება?
რვა წლის წინათ დამწვარ სახლის
მოისმინეთ ვედრება!

ჯერ „ნაცებმა“ დაგვივიწყეს,
მათ შემდგომ კი „ქოცებმაც“,
გაგვიხსენეთ, ვიდრე ცხვირწინ
ხალხი დაგეხოცებათ!



რად გაუჭირდა?

წლების წინათ ქალაქის ცენტრალურ ბაღში ვიღაც გარეწარმა დები იშხნელების ერთ-ერთი ქანდაკება დაამსხვრია, მაგრამ პასუხი არავის უგია. არადა, დაუსჯელობის სინდრომი რომ ახალ ანალოგიურ დანაშაულს წარმოშობს, ეს არაერთხელ გახდა თვალნათლივი.

ვერვინ იცავს, არვინ ცდილობს,
დღემდე არვინ არ იცის,
ცხვირს ვინ ამტვრევს „ფოტო-ილოს“
და ძეგლს კუხიანიძის.

თუკი ესეც ვერ განსჭვრიტა,
ღირს ვინმე და რამე რად?
ქუთაისს რამ გაუჭირვა
სათვალთვალო კამერა?

ალექსანდრე შენგელია

◎ ალიანჩალიანი

გაქურდეს თუ არა ალასანიას სახლი

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ირაკლი ალასანიას სახლის ქურდობის მცდელობისთვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს„ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურმა განუცხადა, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 19-177-ე მუხლით არის აღძრული. რაც შეეხება იმას თუ როდის და რის საფუძველზე აღიძრა საქმე უწყების პრესსამსახურში არ აკონკრეტებენ.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბინაში უცნობი პირი იმყოფებოდა, ირაკლი ალასანიას მეუღლემ ნათია ფანჯიკიძემ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

დააკავეს ნარკორეალიზატორები

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკორეალიზატორები დააკავა და 514 აბი „სუბუტექსი“ ამოიღო.

შსს-ს ინფორმაციით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ბრალდებით 1978 წელს დაბადებული ლევან თ, მისი მეუღლე 1980 წელს დაბადებული ნატა დ. – თბილისში, ხოლო წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი 1970 წელს დაბადებული ელდარ გ. ქუთაისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები სისტემატურად ახდენდნენ ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას და მათ ორგანიზატორობას უწევდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი 1979 წელს დაბადებული ლაშა თ.

სამართალდამცველებმა ელდარ გ-ს პირადი ჩხრეკისას 0.1565 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ბუპრენორფინის შემცველი 12 აბი „სუბუტექსი“ და აბის 12 ნატეხი, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 3.92176 გრამ ბუპრენორფინის შემცველი 484 აბი „სუბუტექსი“ და აბის 15 ნატეხი ამოიღეს. სამართალდამცველებმა ასევე ამოიღეს საკონტროლო შესყიდვით მიღებული 0.15832 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ბუპრენორფინის შემცველი 18 აბი „სუბუტექსი„“, აბის ნატეხები და ფხვნილისებური ნივთიერება, ხოლო ლევან თ-ს და ნატა დ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის ნაწილი 200 ლარი.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

მცირე ენციკლოპედია

ვის რა უნდა...

მოგეხსენებათ, ინტერნეტ-სივრცე გადაჭედილია ნაცნობობის საიტებით. ჰოდა, სწორედ ეს საიტები გახდა ფსიქოლოგთა მორიგი კვლევის საგანი.

ამ საიტების მუდმივი მომხმარებლების გამოკითხვით მკვლევარებმა დაადგინეს, რომ საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში დარწმუნებულ მამაკაცთა უმრავლესობა არა რომანტიკულ და სუსტ ქალებს ეძებს, როგორც ეს ძველებურ რაინდულ სათავგადასავლო რომანებშია აღწერილი, არამედ ისეთებს, რომლებიც ხასიათის სიმტკიცეში მათ ტოლს არ უდებენ. უფრო რბილი და დამყოლი მამაკაცები კი ცხოვრების მეგზურებად მზრუნველ ქალებს ეძებენ, რომელთათვისაც პირველ ადგილზე ოჯახური სიმყუდროვეა.

მისცხეთ ინსულტს... ბანანი

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბანანები, რომლებიც ასე უყვართ მაიმუნებსა და პატარა ბავშვებს თურმე ინსულტის ალბათობას ამცირებს!

ეს ხილი მდიდარია კალიუმით, მეცნიერთა კვლევებით კი გაირკვა, რომ იმ ქალბატონებს, ვინც კალიუმს საჭირო რაოდენობით მოიხმარდა, სხვებთან შედარებით ინსულტი 12 პროცენტით ნაკლებად ემართებოდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი ოდენობით კალიუმს ასევე კარტოფილი და თეთრი ლობიო შეიცავს.

სთოუჰენჯის რიტუალური „ოჯახი“

დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უძველესი რიტუალური ძეგლის სთოუნჰენჯის მახლობლად, ადგილობრივმა არქეოლოგებმა 17 მანამდე უცნობი ასევე რიტუალური ნაგებობა აღმოაჩინეს.

გეორადარებისა და მაგნიტომეტრების მეშვეობით, მეცნიერებმა რამდენიმე მეტრის სიღრმეზე ქვის წრეებს, პატარ-პატარა საყდრებსა და რამდენიმე განამარხებას მიაგნეს. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ სთოუნჰენჯის ქვის ცენტრალური კომპლექსი კიდევ 60 სხვა რიტუალურ ადგილთან იყო დაკავშირებული.

ნეტარ არიან მორწმუნენი...



ცნობილი რუსი გეოგრაფი ნიკოლაი მიკლუხო-მაკლაი, რომელმაც სახელი მოგზაურობებში გაკეთებული ეთნოგრაფიული აღმოჩენებით და ანთროპოლოგიური კვლევებით გაითქვა, როგორც გაირკვა, არა მარტო მეცნიერი, არამედ... ჯაშუშიც ყოფილა!

ამის შესახებ განცხადება ნ. მიკლუხო-მაკლაის შესახებ წიგნის ავტორმა, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელმა ოლეგ კარიმოვმა გააკეთა. მზვერავი მიკლუხო-მაკლაი იდეური მოსაზრებებით გახდა, რათა ამ გზით... ახალი გვინეის მცხოვრებთა კოლონიზაციისგან გადაერჩინა. მისი წინადადება იქ... რუსეთის ფლოტის ბაზების შექმნა იყო (?!), ასე ხსნის ბატონი კარიმოვი მოკლუხო-მაკლაის „იდეოლოგიის არსს“. სხვათა შორის, ახალი გვინეის ერთ-ერთი ნაპირი ახლაც მიკლუხო-მაკლაის სახელს ატარებს.

სიმარტოვის... წამალი

იელის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მარტოხელა ადამიანები ცხელ აბაზანებს სხვებზე გაცილებით უფრო ხშირად იღებენ.

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ცხელი აბაზანა მათ საკუთარი სიმარტოვის დავიწყების შესაძლებლობას აძლევს. მკვლევართა აზრით, ცხელი აბაზანა მარტოხელა ადამიანებს იმ დროში აბრუნებს, როცა ისინი დედის წიაღში იყვნენ და, მაშასადამე, თავს ყველაზე დაცულად გრძნობდნენ.

მცენარეთა ენა

ამერიკის შეერთებული შტატების ვირჯინიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ჯიმ ვესტვუდმა დაადგინა, რომ მცენარეებს ერთმანეთთან ურთიერთობა შეუძლიათ.

მეცნიერის განცხადებით, ისინი ამას რნკ-მეთოდით ახერხებენ, რომლის არსი დედობრივი რუბონუკლეიდური მოლეკულების ერთმანეთში გაცვლაა. ამ აღმოჩენის წყალობით მეცნიერები მომავალში მცენარეებთან ურთიერთობას ისწავლიან, იმედოვნებს პროფესორი ვესტვუდი.

ზღვის იდუმალებით მოსილი

ულამაზეს მარჯნებს, რომელთა გეოლოგიური ასაკი თითქმის ორნახევარი ასეული მილიონი წელია, კაცობრიობა სამკაულად უხსოვარი დროიდან იყენებს.

ვარდისფერი, შინდისფერი, ხასხასა წითელი მარჯანი შუამდინარეთში, ძველ ეგვიპტესა და საბერძნეთში უკვდავებისა და ბედნიერების სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ძველ ინდოეთში კი მარჯანი არა მარტო როგორც სამკაული, არამედ როგორც სამკურნალო და მაგიური თვისებების მქონე მინერალი ფასობდა. საბერძნეთში მარჯანს ავგაროზებად იყენებდნენ, რომელიც პატრონს სნეულებებისგან და უბედურებებისგან იცავდა.

ბუდიზმის მიმდევართა აზრით, მარჯანი უძვირფასესად მიჩნეულ ერთ-ერთი იმ შვიდ მინერალთაგანია, რომლებსაც ადამიანისთვის ბედნიერება, ჯანმრთელობა, სიბრძნე მოაქვს და ავი სულებისგან დაცვა შეუძლია. ტიბეტელი ბერები მარჯნის გვირგვინებს ატარებდნენ, ხოლო ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ყრმა ქრისტეს ხშირად მარჯნის მძივით ანდა ყელსაბამზე დაკიდებული მარჯნის ტოტით გამოსახავდნენ.

არსებობს ორი ტიპის მარჯანი — მარჯნის რიფები და მინერალი. რიფები პოლიპებითაა აგებული, ისინი ზღვის წყალში იზრდებიან და გარეგნულად მცენარეებს ჰგვანან, თუმცა კი, ცხოველები არიან და ზღვის ბინადრებით იკვებებიან. მარჯანი წელიწადში დაახლოებით 7,5 სანტიმეტრით იზრდება, ზღვის ტემპერატურა კი მის ირგვლივ 22 გრადუსზე მეტი უნდა იყოს. ბუნებაში 350-ზე მეტი ფერისა და ელფერის მარჯანი არსებობს — წითელი, თეთრი, შავი, ცისფერი, ოქროსფერი, წინწკლებიანი — ასეთ ნაირფერობას დედამიწაზე ვერც ერთი სხვა ცხოველი ვერ დაიკვეხნის.

ცინცხალი ანეკდოტები

— მამი, იცი რა მიკვიირს კაცო?
— ოოუ?
— რა და აი ჩემონტოლები არა, ზოგი უმაღლესში სწავლობს, ზოგი კიდენა მუშაობს, ზოგიცა უცხოეთშია საასწავლებლად წასული და მე რათა ვარ, მაგიდედავატირე, მეორე კლასშიი?
— ნუ გაახურე რა, დალიე...

* * *

მიხო წუწუნებს: — რა ვქნა, ჯოოოო, იგეთი ზარმაცი მამალი მყამს, რომა დილით მეზობლის მამლები რო ყივიან, ესა თავს უქნევს თანხმობის ნიშნადა...

* * *

— მიხო საძინებლიდან უყვირის შვილს:
— ჯო, ამ კამასუტრას წიგნში ნახატები ვინ ჩაამატა?

* * *

მიხო მატარებელში ზის ბავშვიან ქალთან ერთად.მეორე დილით:
— რა არი, ქალო, სულ ფიში-ფიშის რომ გაიძახოდი მთელი ღამე?
— რა ვქნა არ შვრებოდა და...
— სამაგიეროდ, მე ვქენი 4-ჯერ.

— მამი, ძია მიტომ მითხრა, იცი, მამაშენი ვირისგან რით განსხვავდებაო?
— რაო? — გაბრაზდა მიხო და ყურებში ხელი ჩაავლო...
— აა... არაფრით, მამი, არაფრით....
— ჰოდა, ეგრე! ... — ხელი გაუშვა მიხომ.

* * *

— გაიგე, მიტო, ახალი მარკები გამოუშვიათ მიშას გამოსახულებითა, მაგრამა არავინ იყენებსო.
— ვითომ რატომაო?
— რატომა და ზოგი წინიდან აფურთხებს, ზოგი კი უკნიდანა იმდენ ლოკავს, იმდენ ლოკავს რომა, წებო სძვრებაო....

* * *

მარო იყიდა ყველანაირი გამაახალგაზრდავებელი კოსმეტიკური საშუალებები, გაიკეთა მაგარი მაკიაჟი და ქმარს გაეკეკლუცა:
— მიხო, რომ არ მიცნობდე, რამდენ წელს მომცემდი?
— სახითა — ოცს, თმითა — თვრამეტს, აი ტანითა კიდენა — სულაც თექვსმეტს.
— ჰოდა, მოდი, მიხო, მაგ ოქროი სიტყვებისთვინ უნდა დაგაჯილდოვო.
— მაიცა, ქალო, ბოლო პასუხი არ მითქვამს, ეგრე უცბათ ვერ მივუმატე ყველაფერი ერთმანეთსა...

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24